საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 12 დეკემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადებები 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ... Головинский пр. № 12 ...

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинский проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 269 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 269

# დღეს სახალხო გვარდიის დღეა დღეს

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსი გვერდია.

ხაშურის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ღრმად დამწუხრებული აუწყებს ამხანაგებს, ნათესავთ, ამხ. სტუდენტ

ვასია სიხარულიძის

უდროოდ გარდაცვალებას (2—1)

ძმები: მოსე და ბიქტორ სალუქვაძენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მიძმიშვილის ქმრის

ალექსანდრე მჭავანაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო, რომელიც გარდაიცვალა სოფ. ლიხაურში (გურია).

გულდამწვარნი და ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ვარვარა (მაღუ) დავითის ასული კეშელავასი და შვილები: გიორგი და დარია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 15 დეკემბერს (ახ. სტ.) 11 ნახ. საათზე გადახდილ იქნება ფ...თის სახაფლაოს ეკლესიაში ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი ქმრის, ხოლო უკანასკნელთა ძვირფასის მამის

თადეოზ გიორგის ძის კეჟელავას

სულის მოსახსენებლად.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მაშო ალექსანდრეს ასული, დედ-მამა ყარამან და ელენე, ძმა ვლადიმერ, რძალი ნატალია, დები: ვერა, ანნა, მარია, ნადია და თამარა ცეცხლაძეები, სიძეები ვასო დუმბაძე, და სტეფანე ამირხანაშვილი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ თორმეტ დეკემბერს (ახალი სტილით), დილით ხუთშაბათს, ხამ საათზედ გარდახდილ იქნება შემოქმედის მონასტრის ეკლესიაში სოორმოცო დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ოზურგეთის სავაჭრო გიმნაზიის დირექტორის

ილია ყარამანის ძის ცეცხლაძის

სულის მოსახსენებლად.

გულდამწვარი დედა ზინოვია სოლომონის ასული, ოლღა ვასილის ასული ნამორაძეები, ოლღა ანდრიას ასული და მიხეილ პავლეს ძე კაწფუხაშვილნი გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირთ, რომელთაც მათ თანაგრძნობა გამოუცხადეს ძვირფასი

შალვა ანდრიას ძე ნამორაძის

გარდაცვალების გამო. (1—1)

1918 წ. პარასკევს, 13 დეკემბ. წარ. № 3.

სახელმწიფო თეატრი

„კავშირი“-ს დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ორიგინალური პიესა

მთის ზღაპარი

3 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., სანაურიძე ო., ჩერქეზიშვილი ელ., ჩხეიძე ნ.; ბბ. აპხაიძე(?) ..., გამყრელიძე ვ., ვასაძე, იმხნელი გ., ფრონსპირელი(?) გ., ციცაშვილი ნ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე შ.

პიესას დადგამს ავტორი.

რეჟისორი შალვა დადიანი. რეჟისორის თანაშემწ. ალ. გუგუშვილი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

მზადდება: სანათლე—პირველი ნაწილი, ანტიგონე.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის დღე.

სადღესასწაულო სპექტაკლი

I გრანდიოზული აპოთეოზი.

შულგინის, კანზინის, ორლის და ინავეს მონაწილეობით

II „პაიაცი“ (ჯამბაზები)

III „ბალეტი“ (ოპერა ჯიოკონდიდან)

შაბათს 14 დეკემბერს ზალიპსკის 10 წლის იუბილე „პიკოვაია დამა“.

# სახალხო გვარდია

როდესაც ჩვენი სახალხო გვარდიის მნიშვნელობაზე და ღვაწლზე ფიქრობ, თვალწინ გადგება რუსეთის რევოლუციის პრობლემა, უმეტესად ერთი მხარე უპირდაპირეს რევოლუციის მსვლელობას რუსეთში და ჩვენში.

რუსეთის რევოლუცია თავიდანვე ორს და მთავარ ძალაზე იყო დაყრდნობილი: მუშაზე და გლეხობაზე, ქალაქის შეგნებულ პროლეტარიატზე და ჯარისკაცის ფარაჯებში გამოხვეულ სოფლის მუჟიკებზე. შეგნებით პირველი ძალა უზომოთ მაღლა იდგა მეორეზე, მაგრამ მეორე სჭარბობდა პირველს როგორც რიცხვით, ისე ფიზიკურათ, შეიარაღებით. პირველი ძალა რევოლუციაში ჩაება გარკვეულ პოლიტიკური პროგრამით; მეორე კი მიტაცებული იყო გამოურკვეველ სტიქიონით, მიწისკენ გახვეულ მისწრაფებით და უფორმო ლტოლვილებით.

ამ ორ ძალაში პირველი ადგილი აშკარათ ეჭირა გლეხურ სტიქიონს. შეიარაღებულ გლეხების ხმა ფარავდა პროლეტარიატის ხმას; მათი მისწრაფება ცხადათ იმარჯვებდა პროლეტარიატის მისწრაფებაზე. ჯარისკაცის საომედრო ფიქრში ძლიერ და იხშოდა პროლეტარიატის „მარსელიეზა“.

პარტიები, რომლებიც უკეთ ახერხებდნენ ჯარისკაცთა და გლეხთა გულის მოგებას, პირველ ადგილზე იდგნენ. იმ ორგანიზაციებში, რომლებიც რევოლუციას ხელმძღვანელობდნენ, ჯერ იხსნებოდა ჯარისკაცი, შემდეგ-კი მუშა. „ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოები“,—აი ყველაზე გავლენიანი რევოლუციონური ორგანიზაცია, რომელშიაც პირველი ადგილი ჯარისკაცს ეჭირა.

ამ ორ ძალას შორის განუწყვეტლივ ბრძოლა სწარმოებდა, უფრო ხშირათ დაფარული, ზოგჯერ კი ცხადი. სოფლის ანარქია ებრძოდა ქალაქურ წესიერებას, სოფლის სიბნელე—ქალაქურ კულტურას, სოფლის სტიქიონი—შეგნებულ მოქმედებას. ამ ბრძოლაში აშკარა გამარჯვება ხვდა სოფელს. მუჟიკურმა ანარქიამ, უკულტურობამ, სტიქიონმა გაიმარჯვა პროლეტარიატის შეგნებაზე, წესიერებაზე, კულტურაზე. პირველმა ჩაიჩუმა მეორე. ეს არის რუსეთის რევოლუციის არსება და იმავე დროს მისი მარცხი.

მაგრამ იყო რუსეთში ერთი კუთხე, სადაც რევოლუციამ სულ სხვანაირი მსვლელობა მიიღო. ეს იყო კავკასია. ჯარისკაცის სამხედრო ფიქრს აქ არც ერთხელ არ დაუჩრდილავს პროლეტარული „მარსელიეზა“. სალდათური ფარაჯა აქ არც ერთხელ არ მდგარა მუშის ბლუზაზე წინ. შეგნებულ პროლეტარს ყოველთვის თავის გვერდით ქვეშ ჰყავდა სალდათი და გლეხი; პროლეტარული წესიერება უფრო ძლიერი იყო გლეხურ ანარქიაზე. „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო“,—აი, მთავარი რევოლუციონური ორგანიზაცია, რომელშიაც პირველი ადგილი აშკარათ ეჭირა მუშას.

იმ ბრძოლაში, რომელიც ხან დაფარულათ, ხან ცხადათ სწარმოებდა თვით რევოლუციის წიაღში და რომელიც გამოხატულება იყო წინააღმდეგობისა სოფლისა და ქალაქს შუა, ჩვენში აშკარათ გაიმარჯვებული გამოვიდა ქალაქის კულტურა, დამარცხდა სოფლის უკულტურობა. მუშის წესიერებამ დასძლია სოფლის ანარქია, პროლეტარის შეგნებამ ჯარისკაცის, შეიარაღებულ გლეხის გაუნათლებლობა; დემოკრატიულმა რევოლუციონურმა ტაქტიკამ გაიმარჯვა ჯარისკაცის ანარქიაზე და გლეხურ სტიქიონზე.

1917 წლის 12 დეკემბერი (ძველი სტილით 29 ნოემბერი) მით არის აღსანიშნავი დღე, რომ მაშინ მოხდა პირველი უდიდესი და გადამწყვეტი ბრძოლა რევოლუციაში დამალულ მოწინააღმდეგე ძალებისა. 1917 წლის დამლევი კრიზისის ხანა იყო. რუსეთში ამ დროს უკვე გამორკვეული იყო ბოლშევიზმის—ამ გლეხურ-სალდათურ სტიქიონის—გამარჯვება პროლეტარულ მოძრაობაზე.

რა გზით წავა რევოლუცია ჩვენში? სიკვდილს ირჩევს თუ სიცოცხლეს? დაადგება რუსეთის გზას, თუ არ გადაუხვევს ერთხელ არჩეულს შეგნებულ მიმართულებას? გლეხურ-სალდათურ ძალას გაჰყვება თუ პროლეტარულს? აი როგორ იყო დაყენებული საკითხი წარსული წლის დამლევს.

12 დეკემბერს (29 ნოემბერს) სამკვდრო-სასიცოცხლოთ ეკვეთა ერთმანეთს ეს ორი მიმართულება, სალდათური და მუშური. არსენალთან მოხდა ორი ძალის შეტაკება. არსენალში გამაგრებული იყო ბოლშევიკურათ განწყობილი ეშელონები. მის ასაღებათ და რევოლუციონურ მთავრობის ხელში გადასაცემათ მივიდა შეიარაღებული პროლეტარიატი—„წითელი გვარდია“. რევოლუცია ეკვეთა ბოლშევიკურ მუჟიკურ სტიქიონს. წამი იყო ისტორიული, საბედისწერო. ძლევა ხვდა პროლეტარიატს, შეგნებულ რევოლუციას. დაძლეული ამ ბრძოლიდან გამოვიდა გლეხურ-სალდათური ანარქია.

ეს იყო გადამწყვეტი შეტაკება. ბრძოლამ შემდეგ ერთი წლის განმავლობაში არ შეჩერებულა. ანარქია ერთის დამარცხებით არ მოსწყვდარა. მაგრამ ცენტრში დამარცხებული, იგი პერიფერიებშიაც მუდამ დამარცხებული გამოდიოდა. „წითელ გვარდიას“ მადლიერმა ხალხმა „სახალხო გვარდია“ უწოდა. ეს სახელწოდება აღიარებაა იმისა, რომ სახალხო გვარდიამ იხსნა ერი ანარქიის საშინელ გავლენისაგან.

## განდგომილების ლოღიკა

როცა ზოგიერთმა განდგომილმა ამხანაგებმა საკუთარი საორგანო(?) გაზეთი („სოციალ-დემოკრატი“) დაიარსეს, ჩვენ მაშინვე აღვნიშნეთ, რომ ყველაფერს თავისი ლოღიკა აქვს და „სოციალდემოკრატში“ მოკალათებული ამხანაგები ბუნებრივათ გადავლენ ჩვენი მტრების ბანაკში მალე.

ასეც მოხდა. გაზეთი პირველ ნოემბრის დარბაისლური კილო შეიცვალა უშვერი და მოშხამული სიტყვა-პასუხით, „ამხანაგურ“ კრიტიკის ადგილი კი ინსინუაციებმა და ინტრიგანობამ დაიკავეს: ჩვენი განდგომილი ამხანაგები არავითარ ხაშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ კი ჩირქი მოსცხონ და მიწასთან გაასწორონ საქართველოს მეთაურები და მათი მოღვაწეობა; ისინი შეგნებულათ უთხრიან ძირს ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოს და ყველაფერს ამას სჩადიან ვითომდა „ინტერნაციონალიზმის და მეცნიერული მარქსიზმის“ სახელით.

ამ ბოლო დროს მათ ორი მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი გადასდგეს.

დასრულდა თუ არა ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციების მერვე პარტიული ყრილობა, მათ—სულ ორმა-სამმა კაცმა—პროტესტი განუცხადეს ამ ყრილობის დადგენილებებს და შექმნეს რაღაც საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ლამობს გასწიოს ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ხაოლქო(?) კომიტეტის მაგიერობა. ამ განდგომილ ამხანაგების საქციელი იმდენათ უზომოდ(?)ია, რომ ისინი არა თუ არ კითხულობენ—ვინ არიან მათი მიმდევრები,—საორგანიზაციო კომიტეტში არჩეულათ სთვლიან ისეთ პირებს, რომელთაგან დასტურიც კი არ აქვთ მიღებული—ასეთებია მაგ. ბაგრატ მიკარტუმოვი და ღანდურიძე(?).

მეორე ავანტიურისტული ნაბიჯი, რომელიც განდგომილებმა გადასდგეს—ეს არის ქალაქის საბჭოს ახალ ფრაქციის დაარსების განზრახვა. ბბ. გებშტეინ-ბროიდსკი-სმირნოვ-პოპოვმა და სხვებმა კარგათ იციან, რომ ისინი თფილისის მუშათა ორგანიზაციების კანდიდატებია და თუ ამ ორგანიზაციების პოლიტიკა მათთვის მიუღებელია, ისინი მოვალენი არიან ხმოსნობაზე უარი სთქვან. მაგრამ ისინი ასე არ იქცევიან. მათ უკვე წარუდგინეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას განცხადება—ცალკე ფრაქციას ვაარსებთო. ამ ახალ მიდის მოციქულებმა დაივიწყეს, რომ თუ მათთვის პარტიული დისციპლინა არაა სავალდებულო, უბრალო რაინდობა მაინც მოეთხოვებათ.

საჭიროა მუშათა კლასმა თვით მოაგონოს ამ გულმავიწყ პოლიტიკოსებს მათი მოვალეობა და წესიერებისკენ მოუწოდოს.

## პრესა

კადეტების „რეჩი“ სახარულით ცას სწვდება რუსულ „სოციალდემოკრატის“ გარშემო თავმოყრილ უპასუხისმგებლო პირების ავანტიურის გამო. „რეჩი“ დიდ ადგილს უთმობს ამ ჯგუფის ნაწერებს, რადგან კარგათ იცის, რომ „მისი მტრის მტერი—მოყვარეა“ და წინას წარმეტყველურ შორსმჭვრეტელობით დასძენს: „სოციალდემოკრატიულ პარტიის დაშლა გამოწვეულია სერიოზულ მოტივებით და ეს დაშლა, ეტყობა, გაფართოვდება და გაღრმავდებაო“.

„რეჩი“ ტყუილადაა გახარებული: თუ რამე გაღრმავდება ამ საქმეში, ეს ბ. ბ. სმირნოვ-პოპოვ ათიოდე ელბაქიანების ინტრიგანობა.

## ბრძანება სახალხო გვარდიისადმი

12 დეკემბერს, დილის 12 საათზე, „სახალხო გვარდიის დღეს“ დანიშნულია თფილისში მყოფ ყველა სახალხო გვარდიელთა პარადი, რომელსაც მიიღებს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, სახალხო გვარდიის მთავარშტაბის წევრების თანხლებით.

პარადის ხელმძღვანელად დანიშნულია გენერალ-მაიორი ახმეტელაშვილი.

სახალხო გვარდიის ნაწილებმა ადგილები უნდა დაიკავონ გენ.-მაიორ ახმეტელაშვილის ჩვენებით, მარჯვენა ფრთა უნდა იყოს პირველ სავაჟო გიმნაზიასთან, პირი მტკვრის მხარეს უნდა ჰქონდეთ მიქცეული, უნდა გამწკრივდნენ გოლოვინის პროსპექტის მიმართულებით.

მთავარი შტაბი სახალხო გვარდიისა დადგება პარადის მარჯვენა ფრთასთან.

ასეულები უნდა გამწკრივდნენ რიგრიგათ. თითეულ ასეულს მარცხენა ფლანგზე უნდა უდგეს ტყვიის-მფრქვეველთა რაზმი.

ქვეითი ჯარის მარცხნივ იქნება გამწკრივებული სოციალ-ფედერალისტთა რაზმი.

ამ რაზმის მარცხნივ გამწკრივდებიან მოტოციკლეტ ტყვიის-მფრქვეველთა რაზმები, ჯავშნოსანი ავტომობილები, ტყვიის-მფრქვეველთა რაზმი, ცხენოსანთა დივიზიის ქვეითი ასეული, ცხენოსანთა ასეული ამავე დივიზიონისა და არტილერია.

რაიონული შტაბები თავიანთ ასეულების მარჯვენა ფლანგებზე უნდა იყვნენ.

ყველა გვარდიის ნაწილები პარადზე უნდა გამოცხადდნენ 10 ნახ. საათზე.

ყველა ჯარის ნაწილებს, მილიციას, პროფესიონალურ საბჭოებს და ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ მიულოცონ სახალხო გვარდიას, უნდა გამწკრივდნენ: მსროლელთა ბატალიონის საგანგებო რაზმს მარცხენა ფლანგი ექნება კომენდანტის სამმართველოსთან და სხვა ჯარის ნაწილებმა, მილიციამ, პროფესიონალურ საბჭოებმა და ორგანიზაციებმა უნდა დაიკავონ ადგილები მარჯვნივ ამ რაზმის შტაბის წევრთა მიერ მიჩნეულ ადგილზე.

პარადის შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე დადგება სასახლის პარადნის(?) წინ, რომლის წინაშე გაივლის სახალხო გვარდია ჰიმნის დაკვრით. გვარდია გაემართება სასახლის ქუჩით ერევნის მოედანზე, აქედან წავლენ მიხეილის პროსპექტზე და შემდეგ გაემგზავრება ყველა ნაწილი თავიანთ რაიონებში.

მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი.

## ქალაქის არჩევნებისთვის

„ამხანაგორი“ (№ 204) ეხება თფილისის საბჭოს მომავალ არჩევნებს და სწერს: „იანვრის პირველში გათავდება ქალაქის საბჭოს წევრების უფლების ვადა და უნდა მოხდეს ახალი არჩევნები. უნდა ითქვას, რომ ამ ნახევარი წლის განმავლობაში საბჭოს ცხოვრება საკმარისად აფორიაქებული მიმდინარეობდა და ბევრი ცვლილებანიც განიცადა. ევოლუციამ, რასაკვირველია, უნდა გავლენა იქონიოს არჩევნების სიაზე, იმ მხრით, რომ დროებითი მთავრობის მიერ გამოცემული საარჩევნო კანონი ეხლა განისაზღვრება საქართველოს ეგრეთ წოდებული ქვეშევრდომობის კანონით.

ქვეშევრდომობის საკანონმდებლო ერთი unicum-ი არის თავისი გაუგებრობით, საბჭოლით(?) და ერთი-მეორის მოწინააღმდეგე უაზრობით. საკოდიფიკაციო ორგანოს უქონლობის გამო, მოქალაქეებს პოლიტიკური ქვეშევრდომობის გამოსარკვევათ შეძლება არ ექნებათ ეს კანონი ცხოვრებაში გაატარონ. ვიდრე ამ კანონის საზღვრები დეკლარატიული ხასიათის იქით არ გადადიოდა, ეს კანონი მშვენიერი მაგალითი იყო იმისი, თუ როგორ არ უნდა დაიწერის კანონები. მაგრამ დღეს, როცა საქართველოს მცხოვრებთ წინ გადაეგება ეს კანონი, როგორც სახელმძღვანელო პრინციპი, რევოლუციონურ დემოკრატიის ორგანოებს არ შეუძლიათ არ იჩივლონ იმის წინააღმდეგ და არ მოსთხოვონ მთავრობას მისი შესწორება და გასაგები განმარტება. უცოდინარობა როცა პლატონიურ ფორმას იღებს, კიდევ როგორმე მოსათმენია, მაგრამ როცა იგი ცხოვრებაში ტარდება, არ არის მოსათმენი.

„აგრეთვე საქართველოს სომხის ეროვნული საბჭო, რომლის დანიშნულებაა, რომ დაიც-

# დღეს

სად. სანაინთან ჩვენს ჯარს „ბანდები" თავს ესხმი 6 ხ. უზუმლიარში შეტაკების დროს მძიმეთ დაიჭრა ტყვიისმფრქვეველის მხროლელი მეფარიშვილი, მსუბუქათ—ხუნდაძე. 9 დეკემბერს მომხდარი შეტაკების დროს ჩვენი ჯარის მხრით მოკლულია 5, მძიმეთ დაჭრილი 1, მსუბუქათ—6, მათ შორის პორუჩიკი შუბლაძე, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 2.

---

სოჩის გლეხთა საოლქო ყრილობა კადეტების გამოსვლას ალექსეევის ორიენტაციით უარყოფით შეხვდა.

---

უკრაინაში, სად. შოსტკასთან პეტლიურას ჯარმა დაამარცხა გეტმანის მომხრენი. ბალშევიკები პეტლიურას საწინააღმდეგო რაზმებს ადგენენ.

---

„სპარტაკის" ჯგუფის გამოსვლის შემდეგ გერმანიაში წესრიგი არ დარღვეულა. ბავარია, ვიურტენბერგი, ბადენი და რეინის პროვინციების ნაწილი იმ აზრისა არიან, რომ თუ ბერლინში უწესოება გაგრძელდა, ისინი დამოუკიდებლათ საკუთარ დამფუძნებელ კრებებს მოიწვევენ.

---

ინგლისელებს უფლება აქვთ გადავიდენ რეინის მარჯვენა ნაპირად 30 კილომეტრით და იქ დაიკავონ ციხე სიმაგრეები. შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების ყოფა ქვეყნით გერმანიის მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან.

---

ვას სომხობის უფლებანი, ვალდებულია გასინჯოს ეს კანონი და უჩვენოს თავისი დამოკიდებულება მასთან იმიტომ, რომ ამ კანონის გატარება ძალიან დიდ ზიანს მოუტანს სომხურ ელემენტს თავისი პოლიტიკური უფლებით სარგებლობის დროს".

ჩვენ არ გვიკვირს, რომ „აშხატავორი" უკმაყოფილოა. იგი კმაყოფილი მაშინაც არ იქნება, სულ მარტო დაშნაკელებს რომ მისცე ყველა უფლებები.

ასეა ქალაქის არჩევნების მოახლოვების გამოც. „აშხატავორი" გუშინ ამტკიცებდა, სანამ მთელ სომხეთის ხალხს გამოუკლებლივ ერთ სახელმწიფოში არ მოვუყრით თავს, მანამდე ვერ მოისვენებს ჩვენი გული.

დღეს კი უნდათ, რაც შეიძლება მეტი სომეხი გახდეს საქართველოს ქვეშევრდომათ. ამ მიზნით თხოულობს ქვეშევრდომობის კანონის შესაფერათ გაფართოებას.

რას ნიშნავს ეს? რა აქვთ მიზნათ ამის ავტორებს? ის ხომ არა, რომ მოქალაქეობის მიღებით ისარგებლონ თავის ირედენტისტული მიზნების განსახორციელებლათ?

## გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 11 დეკემბერი.

**გერმანული ჯარების ევაკუაცია.**

კატასტროფის გამო ბაგ. მოლითთან დაზიანებული რკინის გზის ლიანდაგი შეკეთებულია და ჯარებიც მიდიან. ფოთში მოვიდა ორი გემი „გენერალი" და „ასგარტი". ეს უკანასკნელი გემია, რომლებიც წაიყვანენ გერმანელ ჯარებს.

**გერმანიაში.**

7 დეკემბრის გამოსვლის შემდეგ გერმანიაში წესრიგი არსად დარღვეულა.

**ცენტრი და პერიფერიები.**

გერმანიის სამხრეთის შტატები, ბავარია, ვიურტენბერგი, ბადენი და სხ. და აგრეთვე რეინის პროვინციების ნაწილი აცხადებენ, რომ, თუ ბერლინში უწესოება გაგრძელდა, ისინი იძულებული იქნებიან მოიწვიონ თავისი დამფუძნებელი კრებები. და თუ ებერტ-ჰააზეს მთავრობა დარჩა, მაშინ არავითარი მიზეზი სეპარაციისთვის მათ არ ექნებათ და მიიღებენ სრულიად გერმანიის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობას, რომლის მოწვევა დანიშნულია 16 იანვარს.

**ინგლისელების რეინზე გადასვლის გამო.**

ინგლისელებს უფლება აქვთ გადავიდნენ რეინის მარჯვენა მხარეს 30 კილომეტრის მანძილზე და დაიკავონ იქ მდებარე ციხეები. საერთოდ მცხოვრებლები უკმაყოფილონი არიან შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების ყოფა-ქცევით.

**უთანხმოება დამოუკიდ. სოციალისტებში.**

მთავრობაში მყოფი დამოუკიდებელი სოციალისტი ილაშქრებს ლიბკნეხტის ჯგუფის წინააღმდეგ. საერთოდ დამოუკიდებლებში უთანხმოებამ იჩინა თავი.

## ოსმალთა დამსხვრეული მატარებელი

სად. მოლითი. მომხდარი კატასტროფის ადგილი, მგზავრების გადმოცემით, საზარელ სურათს წარმოადგენს:

მთელი გროვა დამწვარ ვაგონების რკინის ნაწილებისა ერთი-მეორეზე მიყრილი. შიგა და შიგ მოსჩანს საბრალო მსხვერპლთა სხეულის ნამწვავი ნაწილები. იქვე ახლოს აწყვია ხუთი ექვსი მკვდარი, რომელსაც ცეცხლის ნიშნები არ ატყვია. ამბობენ, რომ ცეცხლში მოჰყოლია 120 ზე მეტი ასკერი, რომელნიც თითქმის ფერფლად ქცეულან. გადარჩენილი ასკერები იქვე ცეცხლზე თბებიან და იცავენ გადარჩენილ სიმდიდრეს. ეტყობა, დიდძალი ნადავლი გააქვთ აქედან ოსმალებს. მაგალითად, გადარჩენილ საქონელში ჩვენ შევამჩნიეთ მანუფაქტურა და სხვა ისეთი საქონლები, რომელთაც სამხედრო ქონებასთან ან საქმეებთან არავითარი კავშირი არ აქვს.

როგორც ამბობენ, ცეცხლის გაღვივებას თურმე ხელი შეუწყო ასაფეთქებელმა ნივთიერებამ, რომელიც ბლომათ მიჰქონდათ. საშველათ მისული ხალხი ყუმბარების ხმაზე ახლოს ვერ ეკარებოდნენ და ამის მიზეზით, ალბათ, ბევრი ისეთი დაიღუპა, რომლის შველაც შეიძლება შესაძლებელი ყოფილიყო.

გამოგვცამენ ერთი ოსმალო ექიმის ტანჯვის საზარელ სურათი: საბრალოს ფეხები ისე ჩავარდნოდა რკინებში, რომ ამოღება შეუძლებელი იყო, წინადადება მიუციათ ფეხს მოჰჭრით და იქნება გადაარჩინოთო, მაგრამ აზაზე ის არ დათანხმებულა, ცეცხლი კი თანდათან უახლოვდებოდა. ხალხს დიდი საშუალება უხმარია მის გადასარჩენათ, მაგრამ ამაოთ. როცა დარწმუნებულა ექიმი, რომ გადარჩენა შეუძლებელი იყო, რევოლვერი დაუცია გულში და თავი მოუკლავს. სხვებთან ერთად ისიც ფერფლათ ქცეულა. მსხვერპლთა შორის მოყოლილა აგრეთვე სამი ქართველი, რომელთა ვინაობა კარგათ არ იციან და რომლებიც, როგორც სჩანს, შემთხვევითი მგზავრები ყოფილან ამ მატარებელზე.

მთელი მოსამსახურეები მატარებლისა ოსმალოები ყოფილან, და ვაგონებიც ისე ყოფილა შედგენილი, რომლის გაშვება ულიანდაგზე შეუძლებელია.

სამტრედიიდან დაწყებული თითქმის ყველა სადგურებზე შეხვდებით ოსმალთა ჯარების გრძელ ეშელონებს, რომელთაც გარდა სამხედრო ქონებისა, მიაქვთ აგრეთვე სხვადასხვა საქონელიც, მაჰყავთ შინაური პირუტყვი,—ძროხა, ვირი, ცხვარი და სხვ.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს იმ მხრით, რომ ოსმალებმა ისეთი საქონელი არ წაიღონ, რისი უფლებაც მათ ხელშეკრულობის ძალით არა აქვთ.

## ახლო წარსულიდან.

(მოგონება).

დღევანდელი დღე ისტორიული დღეა.

ყველა გულწრფელი მოქალაქე დღეს სიამოვნებითა და სიამაყით მოიგონებს თავისუფლებისა და სამშობლოს დამცველთ და სახალხო გვარდიის ერთი წლის ნამოქმედარს.

მეც მაგონდება ჩვენი გვარდიის ერთი წლის გმირული ნამოქმედარი—მისი პირველი დარაზმული გამოსვლა თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად.

დაჭრილი საავათმყოფოში ვიმყოფებოდი, როცა ჩემთან მოვიდნენ, მხ. ალ. დგებუაძე და ვლ. ჯუღელი, რომლებმაც პირველად გამაცნეს აზრი სახალხო გვარდიის მოწყობისა, საიდანაც კიდეც წამიყვანეს, რომ მეკისრა ახლად შემდგარ სახალხო გვარდიის გაწრთვნა მომზადება.

პირველ ხანებში ძლიერ მძიმე პირობებში გვიხდებოდა ამხანაგებს მუშაობა, ტეხნიკურად დიდ დაბრკოლებებს განვიცდიდით, საკმაო იარაღი ჩვენ არ მოგვეპოვებოდა, იარაღის საწყობი—არსენალი კი ჩვენს მოწინააღმდეგეთ ეჭირათ. საფრთხე კი, დღითი-დღე ფართო ხასიათს ღებულობდა და ჩვენ ქვეყანას ანარქიის ღრუბლები, სადაც იყო, მთელი სიმძით თავზე უნდა დასწოლოდა. ამ დროს ფრონტიდანაც დაიძრა გაბოლშევიკებული ჯარი, რომლის უმრავლესობის მთავარი მიზანი ის იყო, რომ სახლში დაბრუნებისას მთელი ჩვენი ქალაქი თავის მიდამოებით აეკლო და დაერბია.

ჩვენ რაზმსაც ემატებოდა თავ განწირული მებრძოლები, ის დღითი-დღე იზრდებოდა. საჭირო იყო გაბედული მწყობრი მოქმედება ჩვენის მხრივ.

ხალხის ერთგული შვილნი თოფ ქვეშ დაირაზმნენ, შეგნებით და დიდის დაკვირვებით დაუპირდაპირდნენ მოზღვავებულ მტერს. რწმენა და მიზანი გვაკეთებდა, დევ-გმირებათ გვხდიდა, სულით მაღალნი ვიყავით, გულით უშიშარნი და ამიტომ მრავალ მტრის წინაშე უმცირესობა ქედს არ ვიხრიდით.

არსენალის დაკავება 29—30 ნოემბერს პირველი აქტი იყო, სახალხო გვარდიის ენერგიული მოქმედებისა!

ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი, დიად მიზნის განხორციელებას და სახალხო გვარდია მთელი წლის განმავლობაში მტერთან ბრძოლაში არას დროს არ დამარცხებულა, ქედი არ მოუხრია.

დიდი ექსცესები იყო მოსალოდნელი ამ დროს რკინის გზებზე, რადგან მიმავალი ეშელონების უმრავლესობა დარბევისა და ექსცესების გარდა არაფერზე არ ფიქრობდნენ. საჭირო დარჩა ჯავშნიანი მატარებლების ამოქმედება, შეუდექით ამის მოწყობას. პირველად 7 იანვარს ჩავიბარეთ ჯავშნიანი მატარებელი № 4. ამით საშუალება მოგვეცა ჯავშნისნებით დავპირდაპირებოდით მოწინააღმდეგეთ, პირველი ბოლშევიკური ეშელონი უკანასკნელოდ შევძელით გაგვემგზავრებინა რუსეთისაკენ ბაქოს გზით. მთელი თვის განმავლობაში გვარდიელები ტანზე გაუხდელნი, ფეხზე ლაჯ დარაჯობდენ თავიანთ „პოსტს"; ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ახალი საფრთხე, მაგრამ ჩვენი გვარდია ყველა მოვლენას შეგნებით ხვდებოდა, უმეტეს შემთხვევაში საქმეს უსისხლოთ ვაგვარებდით.

დიდი ბრძოლა გადავიტანეთ თათრებთან განჯის მხარეზე ეშელონების გაცილების დროს, მთელი თავიანთი ენერგიით, და თავგამოდებით ჩვენთან ერთად, იბრძოდენ რკინის გზელი ამხანაგები.

გავისტუმრეთ ეშელონები, დარბევას ავაცილეთ როგორც დედა ქალაქი, ისე სხვა დაბები, მაგრამ ეხლა შინაურმა ანარქიამ იჩინა თავი, ბოროტი ხელები ამუშავდენ.

აჯანყება ბორჩალოს მაზრაში, „ბალშევიკური გამოსვლები", ცხინვალში, სადახლოში, ქუთაისში, ტყიბულში, ყოველგან ჩნდებოდა სახალხო გვარდია და ავ-სულთ საშუალებას არ აძლევდა ფრთა გაეშალა.

ისტორია საპატიო ადგილს დაუთმობს ჩოლოქის 8 აპრილის ბრძოლაში სახალხო გვარდიის მონაწილეობას, რამაც იხსნა ჩვენი ქვეყანა სრულ განადგურებისაგან.

ერთ დღეს აქ გვესტუმრა ირ. წერეთელი, მას მოკლე კარაბინა გადაეკიდა. მოვიდა, და გვათვალიერა...

მეორე ღამეს მან ისურვა ჩვენთან მოწინავე ხაზზე წამოსულიყო, წამოვიდა კიდეც, მაგრამ ამ ღამეს შეტაკება მტერთან არ მომხდარა...

თავ-განწირვით იბრძოდნენ ჯავშნიანის გვარდიელები ბათუმისა და ჩაქვის მიდამოებში, გულის ტკივილით შორდებოდნენ ბათუმის მიდამოებს,—ვაი, რომ ცოცხლები ვრჩებით და აქვე არ გაგვეთხარა სამარე სახელოვანი სიკვდილითო. თუ ასე უსახელოთ ბედმა არგუნა მათ ბათუმის დატოვება, სამაგიეროთ მათ აინაზღაურეს ჩოლოქისა და ჩაქვის ბრძოლაში..

ჯავშ. მატარებლების უფროსი და რკინის გზის კომენდანტი გ. გოგუაძე.

## ჩრდილო კავკასიაში

**ჩამოსულთა ნაამბობიდან.**

ბალშევიკები დიდ სამზადისში არიან. ემზადებიან ჩერმოევის დასახვედრათ, რომელიც, მათ წინააღმდეგ აპირებენ გამოლაშქრებას და როგორც ხმები დადის, მთელი დაღესტანი დაუყენებია ფეხზეო.

ბალშევიკებმა მოახდინეს მცხოვრებთა რეგისტრაცია და შემდეგ გამოაცხადეს მობილიზაცია 18—43 წლამდე.

ბევრ მშიერ მუშას გაჭირვება აიძულებს წითელ არმიაში ჩაეწეროს: უბრალო არმიელთ 540 მან. აქვთ, ხელმძღვანელებს 1000 მან. და მასთან ხარჯი და ტანსაცმელი. სასტიკ დევნას განიცდიან ბალშევიკებისაგან სოციალისტური პარტიის წევრები. კანონ გარეშე არიან გამოცხადებულნი ესერები და მენშევიკები.

მუშათა კლასი სუსტია გაუწიოს წინააღმდეგობა ბალშევიკებს, პროფესიონალური საბჭოები პიატიგორსკში აპირებდნენ საყოველთაო გაფიცვის გატარებას, მაგრამ ვერ მოახერხდა. ბალშევიკებმა გააუქმეს ყველა არსებული ნაციონალური კომიტეტები და მათ მაგიერათ დაარსეს ნაციონალურ საბჭოთა კომისარიატი, სადაც მცხოვრებთა წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ ეროვნების მიხედვით. ქართველებმა დაასახელეს გიორგაძე, ინტერნაციონალისტი, რომლის დამტკიცებაც არ უნდოდათ ბალშევიკებს და დიდი დავიდარაბის შემდეგ, როგორც იქნა, დასტოვეს; ეხლა გიორგაძე აპირებს თფილისში ჩამოსვლას და მის მაგივრათ ერთ ქართველ კომუნისტს ასახელებენ ბალშევიკები, ქართველთა ინტერესების დამცველათ.

თერგის ოლქის მცხოვრებნი წყევლა-კრულვით იხსენიებენ ბალშევიკებს.

იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები ადუღებულ წყალს ასხამდნენ, ქვებს ესროდნენ და ისე იგერიებდნენ ბალშევიკებს.

## სოჩის ოლქში.

თფილისი. 11 დეკემბერი. საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებული სოჩიდან შემდეგს იტყობინება: „საოლქო გლეხთა ყრილობა ლტაცებით შეხვდა მიწად მოქმედების სამინისტროს განცხადებას აგრარულ რეფორმების შესახებ. ერთსულოვანი მხარის დაჭერა მთავრობას, „თუ ჩვენ რესპუბლიკისთვის დაცვა საჭირო იქნება (საქართველოს რესპუბლიკას, ჩვენ რესპუბლიკათ იხსენიებენ) —ჩვენ დაუზარებლათ მოვალთ თქვენს რაზმში და ვიბრძოლებთ დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ". ასე ლაპარაკობდენ გლეხთა დეპუტატები. კადეტების მიერ ალექსეევის ორიენტაციით გამოსვლას ყრილობა უარყოფით შეხვდა. ყრილობის ასეთი განწყობილება მოვიდა მთელს ოლქს, მეტის მეტად საგრძნობელი ხდება ზოგიერთ სანოვაგის უქონლობა, რაც აუცილებლათ, რათაც უნდა დაჯდეს, დაკმაყოფილებული უნდა იქნას. ეროვნების შემოღების შესახებ მუშაობა კარგათ მიდის. კომიტეტის წევრები კიდევაც გაემგზავრნენ, რომ სიები ადგილობრივათ შეამოწმონ. სამი დღის წინად მოხდა თათბირი ერობის შემოღების მთელი კომიტეტისა, გლეხთა ყრილობის წარმომადგენელთა და ყველა არსებულ დემოკრატიულ ორგანიზაციათა. ერთხმათ გამოითქვა სურვილი, რომ მუშაობა ერობის შემოღების შესახებ დაჩქარებულ იქნას, რისთვისაც მთავრობის წინაშე შუამდგომლობათ არის აღძრული, რომ ზოგი ვადა, რომელიც დებულებაში ნაჩვენებია, შემოკლდეს". (ს. დ. ს.)

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

11 დეკემბერი.

**ბალშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი** 10 დეკემბ. წითელი ფრონტი. ნარვა, 9 დეკემ. ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ სადგური იევე. ამგვარათ ჩუდის ტბისკენ მიმავალი გზატკეცილი ჩვენს ხელშია. ვორონეჟი, 8 დეკემ. ცნობების თანახმათ სამხრეთ ფრონტის ყაზახთა და თეთრგვარდიელთა მთავარ სარდლათ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ყოფილა. მისი მთავარი ბანაკი კონსტანტინოვკაშია. ხმებია, რომ მოკლე დროში მოელიან დენიკინის ჯარის ნაწილს. ხარკოვი, 8 დეკემბ. პეტლიურას ჯარმა აიღო დაბა შოსტკა და სად. პლისკის ტყვიაწამლის ქარხანას მიაღწია. გეტმანის ჯარი კრუტაში სანგრებს თხრის. პეტლიურას ჯარის მიერ დაჭერილ ადგილებში ყველგან შემოღებულია სამხედრო საველე სასამართლო. პეტლიურას მომხრეების საწინააღმდეგოთ ბალშევიკები სოციალისტურ რაზმებს ადგენენ. მოსკოვი. 10 დეკემბერი. კარნარვონი, 8 დეკემბერი. გაზ. „ტაიმსის" პარიზელი კორესპონდენტის სიტყვით ზავის ჩამოგდება მოსალოდნელია ასეთი ეტაპით მოხდეს: პირველი კონფერენციის მუშაობა დეკემბრის ბოლოს დასრულდება; მარტში ან აპრილში შეთანხმების სახელმწიფოთა საერთო საზავო კონფერენცია და ბოლოს როგორც შეთანხმების, ისე მოწინააღმდეგე სახელმწიფოების მიერ კონგრესი.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

მონარ ლოუმ სთქვა, რომ მოკავშირეთა კომისიამ უნდა განიხილოს და გამოარკვიოს თუ რა თანხა უნდა გადაიხადოს გერმანიამ, რომ მოკავშირენი თავს დაკმაყოფილებულათ გრძნობდნენ. მან განაცხადა, რომ დატყვევებული გერმანელნი ზავის ჩამოგდებისას სამშობლოში უნდა გაიგზავნონ და საერთოთ გერმანელნი ინგლისში არ უნდა შეუშვან.

ამერიკის ჯარს საჩქაროთ გზავნიან კობლენცში, სადაც ბოლშევიზმი ძლიერდება.

ინგლისური ცნობის თანახმათ ინგლისის ჯარმა გოდესბერგსა და კიოლნის შუა რეინს მიაღწია.

ბერლინიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ამას წინათ მომხდარ უწესოების დროს შემარცხენეებმა თავის საუკეთესო ორგანიზატორებს მთელი სახელმწიფოდან ბერლინში მოუყარეს თავი. მაგრამ მთავრობას მზადა ყავს 10,000 კაცისგან შემდგარი ჯარი და რესპუბლიკანური გვარდია. მთავარ უბნებში ამ ჟამად ჯარი სდგას. უკანასკნელ ცნობებით კვირას საწყნარე იყო.

**გერმანული პრესის ცნობები.**

იმ ხმების გამო, ვითომ შეთანხმების სახელმწიფოებს განზრახული აქვთ გერმანიის მთავრობას გაუგზავნონ ულტიმატუმის ხასიათის ნოტა, რომლითაც მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნეს მთელ გერმანიაში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, და თუ ეს მოთხოვნილება არ იქნა შესრულებული ისინი იმუქრებოდნენ გერმანიაში შეთანხმების ჯარის წინ წაწევით, ბერლინის პრესა პროტესტს აცხადებს გერმანიის შინაურ საქმეებში ასეთ ძალით ჩარევის და ამით გერმანიის ახალი შეურაცყოფის გამო. ასეთი მოთხოვნილების წამოყენების განზრახვას შეთანხმების სახელმწიფონი ამგვარათ ასაბუთებენ: მათ ეშინიათ, რომ თუ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები დარჩა, მაშინ გერმანიაში მშვიდობიანობა დაირღვევა და გერმანიას არ შეეძლება შეთანხმების სახელმწიფოთა ფინანსიურ და ეკონომიურ მოთხოვნილებათა შესრულება.

პოლონეთის პრესის ცნობა, რომ ბრესტ-ლიტოვსკი პოლონელებმა დაიჭირეს, სიმართლე არ არის.

სახალხო კომისარმა ბარტმა, რომელიც დამოუკიდებელ ს. დ. ეკუთვნის, დემონსტრანტების დაყენებითი მოთხოვნით სიტყვა სთქვა: „მე მინდა მხოლოდ ერთხელ შევხვდე ლიბკნეხტს ბერლინის ერთ ერთ სასახლეში, რომ უთხრა მას ის, რაცა მსურს, და მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ჯარისკაცი მის მხარეზე არ დარჩება, რომ მე შეგვიძლია მოვეპყრა პარტიულ ნოლით ... მხოლოდ იმიტომ, რომ 10 ნოემბერს ... ცირკში არა შემდგომმაინ, არამედ კარლ ლიბკნეხტი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ეს ასე უნდა იყოს, რომ რევოლუცია საფრთხეში არ ჩავარდეს". ყვირილის და არეულობის გამო არ აცალეს ლაპარაკი. ბრბო ცდილობდა რეიხს-კანცლერის სასახლის დაჭერას, მაგრამ გონიერ ელემენტების ჩაგონებით შეჩერდნენ.

## როგორ მუშაობენ „რასკოლნიკები"

(წერილი რედაქციისადმი).

ამხანაგო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: რუსულ გაზეთ „სოციალ დემოკრატში" ამოვიკითხე სხვათა შორის ის, რომ მე კოოპტაციის საშუალებით შეუყვანივარ დროებითი რ. ს. დ. მუშათა პარტიის საორგანიზაციო კომიტეტში.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ მე იმ ჯგუფსან, რომელიც გათიშვის ნიადაგზე სდგას, არავითარი კავშირი არა მაქვს და არც ერთს მათ კრებას არ დავსწრებივარ. და ჩემი კომიტეტში არჩევა მხოლოდ შევიტყე გაზეთის წაკითხვის შემდეგ.

მართალია, წინეთ ზოგიერთ ამხანაგებთან ერთად მეც წინა აღმდეგი ვიყავი საქართველოს ს. დ. პარტიის დაარსებისა და მსურდა ყოფილიყო ერთი ამიერ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მთლიანი პარტია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს კითხვა პარტიულმა ყრილობამ გადასწყვიტა და დააფუძნა საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტია, მე როგორც პარტიის წევრი, ვემორჩილები პარტიის დისციპლინას და ეს გადაწყვეტილება მიმაჩნია ჩემთვის, როგორც პარტიის წევრისთვის, სავალდებულოთ.

აგრეთვე აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს პროფესიონალურ კავშირში მე კერძო ლაპარაკის დროს გამოვსთქვი ჩემი შეხედულება ამ კითხვაზე, სადაც მე ვამტკიცებდი რომ: უმჯობესია და მიზან შეწონილი იქნება მუშათა კლასის თვალთა ხედვის ასრით არსებობდეს მთლიანი ამიერ კავკასიის პარტიათქო.. იქ ერთი სიტყვაც არ მითქვამს, რომ პარტიას გავეთიშოთ და ცალკე ჯგუფი შევქმნათქო...

მაგრამ ეს საუბარი იყო კერძო ხასიათისა და არავის უფლება არ ჰქონდა ჩემდა დაუკითხავათ სადმე აეღრჩა.

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი ალფეზი ხელაძე.

## საქართველოს გარშემო

**კონფერენციის წინააღმდეგ.**

ქართველი ხალხის თანამგრძნობი, როგორც თითონ უწოდებს თავს ცნობილი გრ. ჩალხუშიანი, მაგრამ საქართველოს მთავრობის მტერი,—კავკასიის ერთა კონფერენციის წინააღმდეგ სწერს („პრიაზ. კრაი" № 192).

ამრიგათ, კონფერენციის ჩამშლელ დაშნაკელებს, დამცველი გაუჩნდა რუსეთში!

ჩალხუშიანი სწერს, რომ სომხეთი ვერ ენდობა აზერბეიჯანს, დაღესტანს, ჩეჩნეთსა და სხ.

სომხები იყვნენ რუსეთის ორიენტაციისადა ამავე გზით წავლენო.

კონფერენციაზე უნდა მოწვეულ იქნას ყუბანის მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლები, რომლებიც ამიერ კავკასიის რუსეთთან გაერთიანებისათვის იბრძვიან. მხოლოდ მაშინ შეიძლება სომხეთმა მონაწილეობა მიიღოს ამ კონფერენციაზეო.

კონფერენციაზე აგრეთვე უნდა მოწვეულ იქნას ტრაპიზონის ბილაგტის ბერძნების წარმომადგენელი და სხ.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩალხუშიანები რუსეთში თავიანთ აგიტაციით შეიძლება პირად საქმეებს კარგათ აკეთებდნენ, მაგრამ არია გვგონია სომხის ხალხის სახელით ასე გამოსვლებმა რაიმე სარგებლობა მოუტანონ იმ სომხებს, რომლებიც ცხოვრობენ აზერბეიჯანის თათრებთან, ჩეჩნებთან, გინდ ქართველებთან ერთად.

თავის, ჩვეულებრივ ცილისწამებით სავსე წერილს გრ. ჩალხუშიანი ასე ათავებს:

„ჩვენ სომხები, თანაგრძნობით ქართველ ხალხს და არა მის მთავრობას, რომელმაც გამოიჩინა ამოდენა პირმოთნეობა, გაუტანლობა და მოღალატეობა სომხებსა და რუსებთან".

ჩალხუშიანის გვარს ჩვენ ვხვდებით რუსეთის გაზეთების ფურცლებზე, რომელიც ქართველი ხალხის თანამგრძნობი ყოფილა.

ჩალხუშიანის გვარი ჩვენ მოგვაგონებს, როცა ძაღლის ხიდის აფეთქების შესახებაა ლაპარაკი.

შეიძლება ძაღლის ხიდის აფეთქების მონაწილე ჩალხუშიანიც ქართველი ხალხის თანამგრძნობია, მაგრამ მტერი საქართველოს მთავრობის, როგორიც არის რუსეთის გაზეთების ფურცლებზე ცილისმწამებელი გრ. ჩალხუშიანი?

# მოგონებანი

10 ივლისს, შემთხვევით, სადგურ ფასანაურში მოვხვდი. ჩვენს რაზმს, აღნიშნული ხოფილი უკვე გაეწმინდა მეამბოხეთაგან და მლეთისკენ მიემართებოდა. მართალია, მთავარი გზას მიმართულებით ბრძოლის საქმე ჩვენდა სახარგებლოთ მიმდინარეობდა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, საქმის ადრე დასაგვირგვინებლად ვალიკო ჯუღელს გადაეწყვიტა: გუდამაყრის ხეობით ქვენა-მთის უღელტეხილზე გადასვლა, იქიდან გუდამაყრის ხეობით ყაზბეგში შეჭრა და ამგვარათ, ჯვარის უღელტეხილზე გამაგრებულ ბოლშევიკურ ბრბოების ზურგში მოვლა.

ამ მიზნით მას უკვე გაეგზავნა ყაზბეგისაკენ ადგილობრივი მუშა გვარდიელი ავსაჯანოვი და პასუხს დღე-დღეზე მოელოდა. სწორედ 11 ივლისს, დილის ათი საათი იქნებოდა, ახალგაზდა ყმაწვილმა ავსაჯანოვისა და კაპ. ფიცხელაურის წერილი მოგვიტანა ყაზბეგიდან გამოგზავნილი. წერილის შინაარსმა საერთო სიხარული გამოიწვია მსმენელთა შორის. კაპიტანი ფიცხელაური დაწვრილებით აცნობდა ვალიკო ჯუღელს საქმის ვითარებას და მოითხოვდა რაზმის დაუყონებლივ გაგზავნას. მთელი და ყაზბეგი ფეხზე დადგება, როგორც ერთი კაცი—იწერებოდა კაპ. ფიცხელაური. წერილთან ერთად მას გამოეგზავნა რამდენიმე ტელეფონოგრამა ბოლშევიკებისა, ყაზბეგის სადგურზე საიდუმლოდ დაჭერილი, რომლიდანაც აშკარად სჩანდა მეამბოხეთა გაჭირვებული მდგომარეობა.

ყოველივე ამის შემდეგ ერთხმით გადასწყდა: შემდგარიყო პატარა რაზმი, დაახლოვებით 300 კაცამდე და დაუყონებლივ დაძრულიყო ყაზბეგისკენ გუდამაყრის ხეობით. საკითხის საბოლოოთ გამოსარკვევათ ვალიკო ჯუღელი გაემგზავრა პოლკოვნიკ კონიაშვილთან, რომელიც ფასანაურიდან 7—8 ვერსის მანძილზე იდგა. სხვათა შორის, სწორედ იმ დღეს მიიღო ჯუღელმა სამხედრო მინისტრის დეპეშა, რომლითაც მინისტრი ულოცავდა კონიაშვილს გენერლობას. ხანმოკლე თათბირის შემდეგ გადასწყდა ყაზბეგისკენ რაზმის გაგზავნა. დაინიშნა სათანადო ნაწილები გვარდიიდან და არჩილ ფურცელაძის რაზმიდან, დაახლოებით 300 კაცამდე. ვინაიდან გვარდიელთა როტა გიორგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით უკვე პოზიციაზე იდგა, მისი მოხსნა, ფასანაურში ჩაყვანა და სამგზავროთ გამოწყობა განსაზღვრულ დროს მოითხოვდა, ამიტომ გადასწყდა ეს ნაწილი დღეს მხოლოდ ფასანაურში მოგროვილიყო, დაესვენებია და მეორე დილით ადრე შესდგომოდა გზას. რაიცა შეეხება ფურცელაძის რაზმს და ნაწილს გვარდიისას, ის თითქმის მზათ იდგა და შესაძლებელი იყო მისი დაუყონებლივ გამგზავრება.

### ფასანაურიდან—დუმაწყომდე.

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როცა პატარა რაზმი, ვალიკო ჯუღელისა და არჩილ ფურცელაძის ხელმძღვანელობით ფასანაურიდან დაიძრა. წეროებსავით გამწკრივებული მისდევდა იგი მთის ვიწრო ბილიკს, რომლის ქვეშ ქუხილით ჩამორბის გაქაფული შავი-არაგვი. ჯერ ორი ვერსიც არ გაგვევლო, რომ უკანიდან სროლის ხმა მოგვესმა. ამ გარემოებამ მოწინავეთა შორის მცირე მღელვარება გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ ჩვენთან მოგვყვებოდა ათიოდ ცხენოსანი მოხევე, ყაზბეგიდან გადმოხვეწილი. გვარდიელები მათ არ იცნობდენ და ეშინოდათ სადმე საფრთხეში არ ჩაგვაგდონო. ზურგით უკან სროლის ატეხამ ეს შიში უფრო გააძლიერა, მაგრამ სროლა მალე შესწყდა და ხალხიც დამშვიდდა. მალე გამოირკვა სროლის მიზეზიც. ფასანაურის მახლობლად სისრულეში მოეყვანათ სამხედრო სასამართლოს განაჩენი, ერთი დატყვევებულ რუსის შესახებ. როგორც გადმოსცეს, ეს რუსი დაეჭირათ ფასანაურის მახლობლათ ქართველი გლეხის ტანისამოსში გადაცმული. ის, თურმე მშვენივრათ ლაპარაკობდა ქართულ ენაზე. გამოირკვა თურმე მისი მონაწილეობა იმ ბრბოში, რომელიც სძარცვავდა ქ. თიანეთს და რომელთაგან 13 კაცი უკვე დახვრიტეს თიანეთში ტრიბუნალის დადგენილებით. ის მაშინ გადარჩენია დატყვევებას და დღეს ბოლშევიკების „სოციალისტურ არმიას" შეჰკედლებია. საჭიროა აღინიშნოს, რომ თითქმის ასეთი „სოციალისტებისაგან" შესდგებოდა ის რაზმი, რომელიც სამხედრო გზით შემოიჭრა ჩვენს სამშობლოში და მედამ უმადლოდეს თიანეთისი, თუ იგი არ გახდა ამათი სათარეშო.

თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს გუდამაყრის ხეობა. აქ მთის ფერდოები, თითქმის დუმაწყომდე, შემოსილია ტყით და მშვენიერ მლფერს აძლევს ვიწრო ხეობას. გზა, რომელსაც ჩვენი რაზმი მისდევს, ძველათ უმთავრესი გზა ყოფილა კახეთისაკენ. მას ერეკლე მეფის გზასაც უწოდებენ გუდამაყარში. დღეს ამ ძველი გზის მხოლოდ ნაშთია დარჩენილი. მასზე მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ქვეითად ან ცხენით. ეტლი აქ ვერ ივლის და გუდამაყარში ურემიც არ იციან. ნათესი ერთობ მცირეა და ისიც ისეთ ადგილებში, სადაც მუშა დიდის გაჭირვებით თუ მოიკიდებს ფეხს. ნათესი 11 ივლისს, ჯერ კიდევ ჯეჯილის სახისაა და საეჭვოა შან თავთავის დასხმა-დამწიფება მოასწროს.

არ გაუვლია ორ-სამ საათს, რომ მშვენიერი სანახაობა გუდამაყრის ხეობისა ჯადოსნურად შეიცვალა. ცამ პირი შეიკრა, მთას შავი ღრუბლები წამოებურა და მალე შხაპუნა წვიმამაც წამოვიდა. ამ გარემოებამ ჩვენ ერთობ შეგვაწუხა, მით უმეტეს, რომ ჯარისკაცთა უმრავლესობა უფარაჯოთ იყო. გზადაგზა ხალხი თანაგრძნობით ხვდებოდა ჩვენს რაზმს. ლაპარაკიდან ნათლად სჩანდა, რომ ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო. ბოლშევიკებს არაერთხელ მიემართა მათთვის, მუქარაც ბევრი გაეგზავნა, მაგრამ ხალხის საღი გონება მაინც არ აჰყოლოდა მოღალატეებს და მათ ძარცვა-რბევაში მონაწილეობა არ მიეღო.

საღამოს რვა საათი იქნებოდა, როცა ჩვენი რაზმი სოფელ დუმაწყოს დასწვრივ პატარა მინდორზე დაბანაკდა. იქვე, წყლის პირად ნანგრევებია ძველი ციხისა, ხოლო მთის ფერდოზე პატარა ეკლესია „ბარიმზე" წოდებული. ეკლესიას გარშემო ფიჩხებია დასობილი, რომლებზედაც ირმის რქები და ზარები ჰკიდია. დაახლოებით იქნება 400—500 ზარი. ამ ეკლესიის დღეობაზე თავს იყრის მთელი გუდამაყარი და ახლო-მახლო ხეობათა მცხოვრებნი.

ჯარისკაცები ტყისკენ გაეშურნენ და მალე აქა-იქ კოცონთა ალი ავარდა. გაისმა მხიარული სიმღერები ქართულ კახური კილოებისა და ეს მივარდნილი კუნჭული გუდამაყრისა მხიარულებამ მოიცვა. საკმაოდ აცივდა. ჯარისკაცები ცეცხლის გარშემო სველ მიწაზე დაეყარნენ. სიცივისაგან თრთოლებულნი მალ-მალ წამოხტებოდნენ და კოცონს ეფიცხებოდნენ. ყველა მოუთმენლად მოელოდა გათენებას, მაგრამ დრო ერთობ ზანტათ გადიოდა.

### დუმაწყოდან სნომდე.

12 ივლ., დილის 5 ს., ჩვენი რაზმი მდინარე ბუსარჩილის ნაპირ-ნაპირ შეუყვა ქვენამთის უღელტეხილისაკენ. გზა მეტის-მეტად მძიმეა. ვერც მთის მდინარე არ აჩერებს ალარც მთის ბილიკებს და უმთავრესად დიდრონი ლოდებით მოფენილ რიყეზე გვიხდება სვლა. არა ნაკლებ მძიმეა მთის ფერდოზე მიხვეულ მოხვეული ბილიკი. სწორედ ამ გზაზე გადმოგვივარდა ორი ცხენი ტყვიისმფრქვევლით დატვირთული, რომელთაგან ერთი ცხენი მოკვდა. ტყვიისმფრქვეველი არც ერთ შემთხვევაში არ დაზიანებულა.

ხუთი საათის მოგზაურობის შემდეგ რაზმი უკვე ქვენამთის უღელტეხილზე იდგა, სადაც მას შეეგება ყაზბეგ-სნო-კარკუჩადან ამოსული მოხევეთა ცხენოსანი რაზმი. შეხვედრამ საერთო სიხარული და აღტაცება გამოიწვია. ქვენამთას ჩრდილო ფერდოზე გზა უფრო ადვილი და უფრო კარგიც არის. მალე დაღმართიც ჩავთავეთ და მდინარის ნაპირით გავეშურეთ სოფელ კარკუჩისაკენ, სადაც მცხოვრებლებს რაზმისთვის მშვენიერი სადილი დაემზადებინა.

ჯერ კიდევ რაზმს რიგიანათ არ დაესვენა, რომ ყაზბეგიდან სამწუხარო ცნობა მოვიდა. გადმოგვცემდნენ, რომ ბოლშევიკების რაზმმა, რომელიც ეს ეს არის მოვიდა კავკავიდან, და რომელიც თითქმის მარტო მეგრულებისაგან შესდგება, სოფელს ალყა შემოარტყა და ხალხს იარაღს ჰკრეფს. ამ ცნობამ ყველანი დიდათ შეაწუხა. რაზმი ხელათ გამოეწყო და სოფელ სნოსაკენ გაემართა. გზაში ახალციხისა და ქორელის მცხოვრებნი შეგვხვდნენ თეთრის ბაირაღებით. ეს ორი სოფელი ამ წლობისა, თურმე „ნეიტრალიტეტს" იცავდა. გზა სულ რიყეს მისდევს, წამ და უწუმ წყალში გასვლა გვჭირია, რიც ერთობ აფერხებს მგზავრობას.

ზეიმის მოლოდინში, თითქმის მთელი სოფელი სნო ქალიან კაციანათ სოფელ გარეთ გზის პირათ გამოსულიყო. ჩვენს მისვლას ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა. ფიცხელაურ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც ვალიკო ჯუღელმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და განუმარტა ხალხს საქმის ვითარება. სოფელი სნო კარგა მოზრდილი და კულტურულად დაწინაურებული ყოფილა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სასოფლო სკოლის ორსართულიანი შენობა ფართო ეზოთი. ამ ხეობაში ასეთი მშვენიერი სასკოლო შენობა იშვიათი საქმეა და ვფიქრობ სწორედ ამ კულტურულ დაწინაურებით უნდა აიხსნას, რომ სოფლები: სნო და ყაზბეგი ვერ აიყოლია ბოლშევიკების ავანტიურამ.

სნოში საღამოს 8 საათზე მივედით. აქედან ყაზბეგამდე ხუთიოდე ვერსია და სამწუხარო ცნობები ერთი მეორეს მოსდევდა. საშა გეგეჭკორის რაზმი გარს შემორტყმოდა სოფელს და იარაღი მოეთხოვა. ყაზბეგელებიც იარაღით დახვედროდნენ და ყაჩაღებთან ბრძოლა გაემართათ. როცა მტერს სოფლისათვის ზარბაზნები დაეშინა, ხალხი მთებში გახვეწილიყო და სოფელს ბრბო დაჰპატრონებოდა.

მყისვე მოხდა სამხედრო თათბირი და შემუშავებულ იქმნა სახვალიო სამოქმედო გეგმა. დაუყონებლივ გაიგზავნა მთით რამდენიმე კაცი, რომელთაც ცნობა უნდა მიეტანათ მთებში გახიზნულ ყაზბეგელთათვის, გაემხნევებინათ ისინი და ეცნო მათთვის საქმის ვითარება. ქრისტეფორე შარაძემ უკვე შეზვერა საჭირო პუნქტები აჩხოტისაკენ, სადაც, ციხის ნანგრევებში ბოლშევიკებს ტყვიისმფრქვეველი ედგათ. ჯარისკაცები სკოლის ეზოში გაიშალენ და კვლავ გაჩაღდა მშვენიერი და მწყობრი ქართული სიმღერები. ის პატივისცემა, რომელიც სნოელებმა ჩვენი რაზმისადმი გამოიჩინეს, ენით არ გამოითქმის. ყველა იმას ცდილობდა, რითაც შეეძლო ესიამოვნებინა ჩვენთვის და ეს გარემოება ძლიერ ამხნევებდა გვარდიელთ. სნოელ-ყაზბეგელნი თვალსაჩინოთ განსხვავდებიან აქეთა მხრის გლეხებისაგან. ესენი განსაცვიფრებელი სიფხიზლით ეკიდებიან საქმეს და ჩინებულათ არჩევენ მტერს მოყვარისაგან. მათში არავითარი გასავალი არა აქვს იმ ავაზაკურ პირებს, თითქო თფილისის გვარდია, ეს უკეთილშობილესი ნაწილი ქართველი დემოკრატიისა, თავად აზნაურთაგან მოსყიდული იყოს. ამგვარ ლათაიებს სნოელ-ყაზბეგელნი დამცინავი ღიმილით შეხვდებიან ხოლმე. არათუ თითონ დაიჯერონ, პირიქით, უკვირთ ის გარემოება, რომ არიან ისეთი ბნელი თავები, რომელთაც ასეთი შეუსაბამო პირი სჯეროთ. პატარა საქართველოს შეუძლია იამაყოს ამ სამი სოფლით. ცხადია, ძველათაც ხშირათ სდგომიან ისინი დარაჯათ ჩვენს ჩრდილოეთის კარებს, დარიალს, და მომავალშიაც ხომ უმთავრესი სიმძიმე იმისი დაცვისა მათ დააწვებათ. ჩვენ განცვიფრებაში მოგვიყვანა ამ სამი სოფლის მცხოვრებთა ერთსულოვნებამ, მათ სიფხიზლემ, მათ გონებამ მახვილობამ, და წარმოიდგინეთ მათ სილამაზესაც. ახოვანი, ზრდილი, გამედული და ვაჟკაცური სილამაზით უხვათ დაჯილდოვებული მოხევე გულს ტკბილი იმედებით უვსებს მას, ვისაც კი აინტერესებს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მომავალი. ბევრს ჩვენგანს მხოლოდ ახლა წარმოუდგა მთელი სიმართლე და სიმშვენიერე ალექსანდრე ყაზბეგის მიერ ხელოვნურად ახატულ გმირებისა.

გარდა ქვეითი რაზმისა, მოხევეებმა გამოაწყვეს მშვენიერი ცხენოსანთა რაზმი, რომელმაც თვალსაჩინო როლი ითამაშა მოღალატეთა ბრბოს დამარცხებაში. ნაშუადღევის სამ საათზე სნოში ჩამოვიდა გვარდიელთა მეორე რაზმი გიორგი ლომთათიძის წინამძღოლობით. როგორც მოგახსენეთ, ეს როტა მოწინავე პოზიციაზე იდგა ამირ-კარის მახლობლად და გუშინ ჩვენთან წამოსვლა ვერ მოასწრო. იგი დღეს დილით გამოვიდა ფასანაურიდან, გადმოიარა ქვენა მთის უღელტეხილი, სნოს ხეობა და ჩამოვიდა სოფელ სნოში. მან გაიარა დაახლოებით 45 ვერსი გზა. ორმოცი ვერსის და ისიც ასეთი მთის გადასვლა შეიძლება სამაგალითო ნიმუშად ჩაითვალოს. რაზმს ახლდა ახალგაზრდა მოწყალების და ვერა ლიუბატოვიჩი, რომელმაც სხვებთან ერთად ფეხით განვლო ეს მძიმე გზა. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ვერა ლიუბატოვიჩს განსაკუთრებული პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული აქვს დამსახურებული გვარდიელთა შორის, თავისი თავგანწირული და პატიოსანი სამსახურისათვის. სადაც მეტი საფრთხე და საშიშროებაა არის ვერა ლიუბატოვიჩიც იქ სდგას ხოლმე, ვინაიდან მან არ იცის რა არის შიში.

### ყაზბეგის ბრძოლა.

შაბათს, 11 ივლისს, სნოს სკოლის ეზოში დილა ადრიანათვე დიდი ფაცა ფუცი შეიქნა. თანახმად გეგმისა, პატარა რაზმი უნდა გადასულიყო სნოს წყალზე, ასულიყო გაღმა ამართულ მთის წვეროზე, შეერთებოდა იქ მდგომ მოხევეთა რაზმს და შემდეგ, მთის ქედ-ქედ ჩამოსვლით აეღო სოფელი აჩხოტი, მშვენიერი დილა გათენდა. პირველ მნახველისთვის სნოს ხეობა პირდაპირ შეუდარებელ სანახაობას წარმოადგენდა. მწვანე ხავერდით შემოსილ გაღმა მთის ფერდოზე უკვე გამოჩნდა მოძრავი ხაზი ჩვენი გვარდიელებისა. მათთან იყო ვალიკო ჯუღელიც. ისინი სწრაფათ გადაიარენ ხერიდან ხერზე და უახლოვდებოდნენ მთის მწვერვალს.

ამავე დროს, სკოლის ეზოში ეწყობოდა მეორე რაზმი გიორგი ლომთათიძისა. ამათ ასეთი მძიმე მოგზაურობის შემდეგ ოთხი საათის ძილიც ვერ დასცალდათ. ეს რაზმი უნდა ასულიყო სნოსა და ყაზბეგს შუა ამართულ მთაზე და სოფელ ყაზბეგს მაღლიდან თავს დასდგომოდა. მეც ამ რაზმს გავყევი და საათ ნახევრის ფოფხვის შემდეგ უკვე მთის მწვერვალზე ვიყავით.

ჩემს წინაშე გაჭიმულია ვიწრო, მშვენიერი ხეობა, კობიდან დაწყებული, ვიდრე ყაზბეგის ბოლომდე. ამ ვიწროსა და მწვანე ხეობას თითქმის თავიდან ბოლომდე ორი თეთრი ხაზი თან სდევს. ისინი ხან უახლოვდებიან ერთმანეთს, ხან შორდებიან, ხან სადღაც გორაკის უკან იკარგებიან, ხან ისევ გამოჩნდებიან და ერთად სვლას განაგრძობენ. ამ ორ ზოლთაგან ერთი მდინარე თერგია, ხოლო მეორე ქართველთა სამხედრო გზა. დასავლეთის მხრიდან საზღაპრო გმირივით დაჰყურებს ამ ტურფა სანახაობას მშვენიერი მყინვარი. ერთი ნაგლეჯი ღრუბლისა არ აფარია იმის სპეტაკსა და მზის სხივებზე მოელვარე მწვერვალს. აქა-იქ, მთის ძირებში, თერგის ორივ მხარეს, წილებსავით მიჭყეპულან პატარ-პატარა სოფლები. სულ ახლოს, ჩვენ ფეხქვეშ კი გაშლილია სოფელი სტეფანწმინდა, ანუ, როგორც ეხლა ეძახიან ყაზბეგი.

მეამბოხენი ჯერ კიდევ ყაზბეგში არიან. მათი ორი ზარბაზანი სოფლის დაბლა, თერგის გაღმა მხარეს გზის მოხვევულში სდგას და დაუზოგავათ უშენს ხან სოფელს, ხან მთის ფერდოებს, ხან მწვერვალებს, სადაც ყაზბეგელნი ჩასაფრებულან. ტყვიისმფრქვეველთა დროგამოშვებითი სროლა მოისმის აჩხოტის მხრიდანაც. მეამბოხეთა არტილერიას მარტო რუსები ხელმძღვანელობენ. მათ უკვე შენიშნეს ლომთათიძის რაზმის საფარი და რამდენიმე ყუმბარა ესროლეს. გვარდიელნი სწრაფათ ჩამოძვრენ მაღლობიდან და მოფარებულ ადგილებში გაიხიზნენ. ყუმბარა არ სკდებოდა და ამის გამო ზარალიც არავისთვის მიუყენებია. ერთი გზადაბნეული ყუმბარა ჩემს მახლობლად შეიჭრა მიწაში. მის ამოსაღებათ დიდი ენერგია დაიხარჯა, მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაიარა. მტრის არტილერია უმთავრესად ყაზბეგელთ ესროდა, მაგრამ სამაგიეროთ მთის ფერდოებიდანაც მწყობრ პასუხს აძლევდნენ.

მოხევეთა ცხენოსანი რაზმი უკვე სოფ. აჩხოტთან მოგროვდა. გვარდიელთა მწკრივები სოფლიდან სამხედრო გზაზე გამოვიდნენ, გაიშალნენ და ახლო-მახლო ბუნებს ალყა შემოარტყეს. მთის მწვერვალიდან ისინი ჭიანჭველების ოდენა მოსჩანან. ყაზბეგის ახლოზე ზარბაზნის სროლა ერთობ გაძლიერდა. სამაგიეროთ თოფის ტკაცანი და ტყვიისმფრქვევლთა რაკრაკი თანდათან იზრდება. საღამო ხანს მოკლულ იქნა მეამბოხეთა „მთავარსარდალი" კ. ქავჯანიძე, რამაც, ისედაც არეულ ბრბოში კიდევ მეტი არევ-დარევა შეიტანა. მათ ვეღარ გაუძლეს გვარდიელთა და მოხევეთა მწყობრ იერიშებს, მოჰკრიბეს ნაძარცვები და დაიძრნენ დარიალისაკენ. ერთობ უთავბოლო იყო მათი უკან დახევა. თავზარდაცემულნი და ყოველ მხრივ შევიწროებულნი, გაეშურნენ ისინი სამხედრო გზით. მათ ფეხდაფეხ დაედევნა ჩვენი რაზმები. მიზეზი ამ ავაზაკური ავანტიურისა, საშა გეგეჭკორი, ადრიანათ გაეცალა ბრძოლის ველს და მისგან ვერაგულათ მოტყუებული მეგრელ-რაჭველ-ლეჩხუმელთა ნაძარცვები ჯოჯოხეთში ჩაჰყარა.

სოფ. ყაზბეგი სრულიად გაძარცვულ-გაუკაცრიელებული აღმოჩნდა. სოციალისტურ არმიას, რომელსაც თურმე ფ. მახარაძემ კავკავიდან გამოსვლისას გზა დაულოცა, არ დაეტოვებია ყაზბეგელთა ოჯახში არაფერი, გარდა ქვის კედლებისა. ამ გარემოებამ ცეცხლზე ნავთი დაასხა და საშინლათ გააღიზიანა ისედაც გაბოროტებული მოხევენი. გაშმაგებით მისდევდნენ ისინი გაქცეულ ბანდიტებს და მუსრს ავლებდნენ ყველას, ვინც კი მცირეოდენ წინააღმდეგობას გაუწევდა. ისედაც გაჭირვებულ მეამბოხეთ თავს ახალი გასაჭირი დაატყდათ. სოფ. წდო, რომელიც გველეთის ხიდის მახლობლათ მთის მაღლობზეა გაშენებული, წინ გადაეღობა გაქცეულთ და უკანასკნელი გასაქანი მოუსპო. უთავბოლოდ გაქცეული ზარბაზნები და სხვა ეტლები ერთმანეთში აირიენ გაიჭედენ გველეთის ხიდში და სრულიად მოსპეს გზა. ყოველ მხრივ გარშემორტყმული ბანდა დაიბნა გვარდიას და დატყვევებულ იქმნა. გაიქცა მხოლოდ ოციოდ კაცი, უმთავრესად ხელმძღვანელნი. ორი ზარბაზანი, რამოდენიმე ტყვიისმფრქვეველი და ფურგუნები ნაძარცვი საქონლით ჩვენს რაზმს დარჩა. ენა ვერ მოსთვლის რა და რა ნივთი არ აღმოჩნდა მათ სოციალისტურ ნადავლში: საკერავი მანქანები, დანა-ჩანგლები, მრავალგვარი ჭურჭლეულობა და წარმოიდგინეთ ჯვრები და ხატებიც კი.

გზა, რამოდენიმე ვერსის მანძილზე, სოფ. წდოსა და გველეთს შუა მოფენილია დაჭრილ-დახოცილებით. დასცქერი ამ სისხლში მოსვრილ გვამებს და გონს ვერ მოსულხარ: რა მიზანი ამოძრავებდა ამ უბედურებს, რამ მოიყვანა ეს უგუნურნი შორეულ სამეგრელოდან ამ კლდე ღრეში, სადაც ასე უმადურათ, მოღალატისა და სამშობლოს გამყიდველის სახელით დალია სული. დიდია პასუხის გება იმ ავაზაკთა, რომელნიც ამ ავაზაკურათ განწყობილ ხალხს ასეთ საბედისწერო გზაზე მიერეკება.

უკვე საღამომ მოატანა და სამხედრო ოპერაციებიც შესწყდა. როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ერთმა მუჭა ხალხმა მოასწრო გაქცევა და დარიალის ციხეში გამაგრება. როგორც ამბობდნენ მათთან იყო ბრბოს ხელმძღვანელი და მიზეზი ამ უბედურებისა საშა გეგეჭკორი. ტყვეები მოათავსეს გველეთის ყაზარმაში და გაამაგრეს ხიდს გაღმა სადარაჯო პუნქტი. ამავე დღეს ყაზბეგში ჩამოვიდა მთავარი რაზმი გენერალ კონიაშვილისა.

### დარიალის ბრძოლა.

კვირა დილით, 14 ივლისს, ყაზბეგში მოხდა სამხედრო თათბირი, რომელზედაც გადაწყდა დარიალის აღება და ჩვენი რესპუბლიკის საზღვრების საბოლოო გაწმენდა. რაზმის ხელმძღვანელათ ერთხმით არჩეულ იქნა პოლკოვნიკი ი. გედევანიშვილი.

ვიდრე რაზმი გამოეწყობოდა, ვ. ჯუღელი, ა. ფურცელაძე, [illegible] გაემგზავრნენ გველეთისაკენ ტყვეების დასათვალიერებლათ. მეც იმათ გავყევი. პატარა, ვიწრო ყაზარმა, რომელიც გაშენებულია გველეთის ხიდის მახლობლათ, სავსე იყო ტყვეებით. ჩემზე ამ სანახაობამ მეტათ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ვაცქერდებოდი ერთს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს, მეასეს და ყველგან რაღაც ჩლუნგი, უაზრო და უსიცოცხლო გამომეტყველება.

— ნუ თუ ესენი არიან, ვფიქრობდი მე, „უდიდესი და უწმინდესი იდეისათვის მებრძოლნი", როგორც ისინი წამოსვლის წინ დააკურთხა ფილიპე მახარაძემ? არა, ყოვლად შეუძლებელია ამ გულცივსა, ბნელსა და ჩლუნგ ბრბოს სხვა მიზანი ჰქონდეს, გარდა ძარცვა-გლეჯისა და მღვრიე წყალში თევზის ჭერისა. არც ერთმა მათგანმა თითქოს არ იცის, სად, ან რა მიზნისათვის მოჰყავდათ. მოგვატყუეს, ბატონო, მოგვატყუესო, აი ერთად-ერთი სიტყვა, რომელსაც მათგან გაიგონებთ. თვით „შტაბის უფროსი" მიშა გეგეჭკორი დანანებით ამბობდა: — მე წამოვედი ასე... წამომიყვანეს... საქმე მე არაფერი მქონიაო.

მიშა გეგეჭკორი თავს სოფლის მასწავლებლათ აცნობდა ჩვენების ჩამორთმევისას, მაგრამ გამოირკვა, რომ ის ტიპიური შანტაჟისტი ყოფილა, რომელსაც თავის სამოქმედო რაიონათ სხვათა შორის ქ. სოხუმი ჰქონია არჩეული. შეურაცხყოფის მაყენებლათ, რომლის შესახებაც მან ლაპარაკი ინება, ალბათ ამ მოღვაწეობაზე ლაპარაკს სთვლიდა, ვინაიდან სხვა შეურაცხყოფაზე ლაპარაკი იქ არ შეიძლებოდა.

ჩვენებმა ჩამოართვეს აგრეთვე რუს აფიცერს, რომელიც მეამბოხეთა არტილერიას ხელმძღვანელობდა. იმის განუწყვეტელ „დიმილს" და შეუჩერებელ ფეხის კანკალს აშკარა კვალი აჩნდა შიშისა და მწუხარებისა. ის თავის თავს სამხედრო ტყვეთ სთვლიდა, თუმცა „არ ვიცოდი" ვის წინააღმდეგ იბრძოდა. მან აგრეთვე თავისი თავი „მენშევიკათ" აღიარა. როცა შევეკითხენ: რისთვის წამოვიდა მენშევიკი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, მან განაცხადა: მე არ ვეთანხმები ქართველ მენშევიკებს მხოლოდ ნაციონალურ საკითხის გადაწყვეტაში, ვინაიდან, ჩემის აზრით საქართველოსთვის ავტონომია სრულიადაც არ არის საჭირო, მისთვის უფრო სასარგებლო იქნება რუსეთის ხელში დარჩენაო.

მალე ტყვეები ყაზბეგისაკენ გაისტუმრეს და გველეთში ნელ ნელა დაიწყო გროვება დარიალში გასაგზავნმა რაზმმა. საღამოს 5 საათი იქნებოდა, როცა დაიძრა წინ სადარაჯო ჯგუფი აფიცერ ქარცივაძის წინამძღოლობით. ისინი ფრთხილად მიიწევენ წინ ვიწრო ხეობაში. გაირბენენ რამოდენიმე მანძილს, ამოეფარებიან კლდის ნამტვრევს, ან გზის პირას კედელს, დაზვერავენ აქე მარჯს და ისევ წინ მიისწრაფიან. მათ კვალ და კვალ მისდევს ვალიკო ჯუღელი, ალექსანდრე დგებუაძის და სანდრო მაისურაძის თანხლებით. შემდეგ მიდიან გვარდიელნი. ბოლო მათ უკან თვით რაზმის ხელმძღვანელი ი. გედევანიშვილი. ხშირობათ არ ჩაითვალოთ და მეც სწორედ აქ ვიმყოფები. ასე მშვიდობიანათ მივუახლოვდით [illegible] თეთრ მდინარეს, რომელიც ქაფ-მოდებული ჩამოჰქრის ქისტების მხრიდან, და უცებ, ვიწრო ხეობის ძირას გამოჩნდა რუხი და დაბალი დარიალის ციხე. მოწინავენი თითქმის გაუსწორდნენ ციხეს და ჯერ თითქმის თოფი არ გავარდნილა. ეს გამოურკვეველი მდგომარეობა უფრო სტანჯავს ადამიანს, ვიდრე აშკარა სიახლოვე მტრისა. თერგის მეორე ნაპირზე აღმართულია გორაკი, რომელზედაც მოსჩანს ნანგრევები ძველი, თამარისდროინდელი ციხისა. ეს ნანგრევი დროიანათ დაუჭერია მოხევეთა რაზმს.

კიდევ რამოდენიმე წუთი და გაისმა პირველი თოფის ხმა. მას მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე, და აქ უკვე წამოიწყო თავისი საგალობელი ულმობელმა ტყვიისმფრქვეველმა. ცხარე ომი გაჩაღდა. ქვის კედელი, რომელიც ჩემს საფარს შეადგენს, გზის პირად არის აშენებული. ჩვენს თავზე [illegible] წუწუნით გადადიან ტყვიები და იქვე ახლო კლდეს ეხეთქებიან.

დარიალის ციხიდან მეამბოხენი ენერგიულ სროლას აწარმოებენ და არტილერიის დაუხმარებლათ მათი [illegible] დიდ დროსა და მსხვერპლს მოითხოვს. რაზმის ხელმძღვანელმა უკვე მოხსნა სათანადო განკარგულება და გზის მოხვეულში ჩვენს უკან გამოჩნდა პატარა სამთო ზარბაზანი. ჩვენ გულის ფანცქალით ვადევნებთ თვალს მათ მოქმედებას. ზარბაზნის მოტანა ციხეში ჩასაფრებულებმაც შენიშნეს და სასტიკი სროლა აუტეხეს მას. ერთი ტყვია მის ჯავშანსაც მოხვდა, მაგრამ ვერ გაატანა და ზიანი არავისთვის მიუყენებია. სროლა თანდათან ძლიერდება.

უცებ გაისმა საზარელი გრიალი, რომელიც ხმის ზვავი დაგორდა ამ ვიწრო ხეობაში და

[illegible]

... თა გენერალი კონიაშვილი, პოლკ. იოსებ გედევანიშვილი, გოლუკო ჯუღელი, ა. [illegible] და ი. ქარცივაძე. ლარსში [illegible]

გამართა მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკება ვინაიდან, როგორც ჩვენს დელეგატებს, [illegible]

## წითელი გვარდია

მამაცთა კრებული—
წითელი გვარდია
ხალხის და სამშობლოს
დამხსნელი ვარდია!
—
მშრომელთა ბაღნარში
ის მაშინ აჰყვავდა,
როდესაც ქვეყანას
პატრონი არ ყავდა.
—
და ახლაც ლამაზობს,
მიდამოს აშვენებს,
ძველს ანგრევს, ახალს კი—
ილავს და აშენებს.
—
მაშ დღეს მის დღეობას
ჩვენც შევხვდეთ ზეიმით,
მადლობის ტაშს დავუკრათ,
ვაჩუქოთ ზე მიით!

გ. რუხაძე.

[illegible] რესპუბლიკის არსებობაზე თავის იმედებსაც ამყარებენ. მოლაპარაკების შემდეგ ერთხმად გადასწყდა: ერთგულ მთავრობებთან მოლაპარაკებისა და საჭირო დირექტივების მიღების შემდეგ ახალი მოლაპარაკების დანიშვნა ლარსში 20 იანვრისათვის.

[illegible]

## სიმღერა

მეგობრებო! რწმენა—სალი,
გული—ცეცხლი-რკინა,
მხარზე—თოფი, წელზე—ხმალი!
შევუტიოთ წინ და წინა!
ჩვენ დიდხანს ვიბრძოდით, ჩვენ დიდხანს ვწვალობდით,
ჩვენ დიდხანს ვეძებდით თავისუფლებას,
ციხეში ვლპებოდით, ხუნდებში ვკვდებოდით
დაკარგულ სიმართლეს, ხალხის უფლებას.
ჩვენ ბევრი ვეწამეთ, ჩვენ ბევრი ვითმინეთ:
შიმშილი, მონობა, მათრახი მწარე,
დრო დადგა, ვიხილეთ, დრო დადგა ვისმინეთ,
რომ აღსდგა დიდებით სამშობლო მხარე...
მაშ მოძმენო! რწმენა—სალი,
გული—ცეცხლი-რკინა,
მხარზე—თოფი, წელზე—ხმალი!
შევუტიოთ წინ და წინა!
ჩვენ ტანჯვის ჯურღმულში ვეძებდით სინათლეს,—
ვიგემეთ კატორღა, წამება მწარე,
ფოლადის მკერდით ვიცავდით სიმართლეს
და ვპოვეთ შვენება ხსოვ-მოვლდარე.
კოჭრიან ხელებით დავლეწეთ კერპები,
აღთქმისა ქვეყნისკენ გზა გავიკაფეთ,
ჩვენ არ გვსურს მონობა, ჩვენ არ გვსურს ღმერთები!
დაამხვეთ სიბნელე! მზისკენ ისწრაფეთ!
მაშ მოძმენო! რწმენა—სალი,
გული—ცეცხლი—რკინა,
მხარზე—თოფი, წელზე—ხმალი!
შევუტიოთ წინ და წინა!
ჩვენ ახალ ქვეყნისა წითელი ჯარი ვართ,
ბრძოლაში ვეძიებთ ჩვენ—ჩვენს უფლებას,
მაშვრალთა ალდგომის ახალი ზარი ვართ,
ჩვენ ვქადაგებთ მაშვრალთა თავისუფლებას.
ჩვენ შევქმნით სიკეთეს, ჩვენ მოვფენთ სინათლეს
დაკარგულ სიმართლეს, მშვენიერებას,
ჩვენ შევქმნით ვრთობას, ჩვენ შევქმნით საშოთხეს,
ქვეყანას მოვუტანთ ბედნიერებას!..
მაშ მოძმენო! რწმენა—სალი,
გული—ცეცხლი—რკინა,
მხარზე—თოფი, წელზე—ხმალი!
შევუტიოთ წინ და წინა!

ნ. ჩხიკვაძე.

## წითელ გვარდიას.

საყვარულის ღვთიურ ქნარზე ვაჟღერებ დღეს სიმებს,
დღეს ჩაგრულთა გულში რწმენა, ვით მზე, იცინებს;
დღეს წითელი ყვავილების გაწნავ უჭკნობ გვირგვინებს,—
გამარჯვების უკვდავ სხივით იგი გააბრწყინებს
ყოფნის დღეებს ჩემი ქვეყნის გულ-მკერდ შვილებისას,
და აანთებს წარმტაც კანდელს ძმობის ნათელ მზისას!...
—
მაშინ, როცა წითელ ალამს საფრთხე მოელოდა,
როცა ბოროტ ხელთა კრება ირგვლივ გვევლოდა;
როცა ცეცხლით და მახვილით მოდიოდა მტერი,
მოდიოდა, რომ ჩაენთქა წყვდიადს მთელი ერი;
როცა ჩაგრულთ განთიადით ახლათ აკოკრილი
შვების ვარდი, მომავალის სხივებით მოსილი,
ველურ მტრობის მძაფრი სუსხით უნდა დამზრალიყო,
და იმედი, ხსნის იმედი, უნდა გამქრალიყო,—
მაშინ აღსდგა იგი რაზმი, რაზმი გულ-მედგარი,
წინ უძღოდათ მომავლის შვილთ ძმობის მზის ლამპარი,—
და ვით სხივი ბნელ-წყვდიადში წითლათ ანთებული,
მცველათ ედგა მშრომელ მხარეს ტრფობით აგზნებული!..
და თუმც ირგვლივ ზუზუნებდა მტრობის ქარიშხალი,
ორგულთ რაზმი შინ და გარეთ ხულ ახალ-ახალი
მონობის ჯაჭვს უმზადებდა ბორკილ აყრილ ერსა,
და შესტრფოდა განწირულთა ცრემლს და სისხლის ჩქერსა,—
იგი მაინც ბრძოლის ველზე მარად წინ ვიდოდა,
როგორც სხივი ბნელ წყვდიადში წითელ ლამპრათ კრთოდა!
მან დაიცვა თავისი ერი და თავისი ქვეყანა,—
და მით უცხო ჩაგრულ მოძმეთ უღალატა განა!?
არა! იგი ყველა ქვეყნის მშრომელთა ალამსა
სულის ღვთიურ აღმაფრენით უძღვნიდა სალამსა!..
—
ვით რიერაჟზე მთის მწვერვალებს რთავს სხივთა მანტია,
ჩემი ქვეყნის მშვენებაა—წითელი გვარდია;
ვინც დაეცა ბრძოლის ველზე ტყვიით განგმირი,
გულ დაკოდილ მშობლის ცრემლით კვნესით დანატირი—
მსურს აუნთო მათ საფლავზე ძმობის მზის კანდელი,
რომ უკვდავ ეყოს მათი ხსოვნა და მათი სახელი!
და დღეს ბრძოლის ველზე რომ დგას მაშვრალთ გულ მხნე ჯარი,
თავისუფალ საქართველოს, ვით ფოლადის ფარი
სდარაჯობს და თავს ევლება, მტერს რომ არ უდრკება—
წრფელის სულით, წრფელის გულით სალამი, დიდება!!

იზოლი მუშა.

## სახალხო გვარდიას.

1.

საქართველოს რესპუბლიკას თქვენ აღუჩნდით ძმებო გმირად,
სიცოცხლეს არ იშურებდით ქვეყნისათვის შესაწირად,
გამარჯვების რწმენის დროშა ამაყურად ხელთ გეპყრათ
და ფიცინით მიდიოდით მტერთა გულის გასაგმირათ!

2.

და დღეს, როცა ამ თქვენ ნაღვაწლს
აფასებს და სდაფნავს ერი,
როცა მზეც კი გვირგვინს გიქსოვთ,
მზე კაშკაშა, მშვენიერი,—
მეც ქუდს გიხდით,
მეც ტაშს გიკრავთ,
თქვენს გმირობას მეც უმღერი!

3.

ვაშა, ვაშა, თქვენს კაცობას, თქვენს ამაგს და თქვენს სახელებს!
გაუმარჯოს მუშა ხალხის მაღლიან და მებრძოლ ხელებს!
გაუმარჯოს ჩვენს გვარდიას, სახალხოს და სასახელოს!
გაუმარჯოს ბორკილ აყრილ თავისუფალ საქართველოს!

გ. ქუხიაშვილი.

## ვაშა. ვაშა!

როს სამშობლოს ყოველ მხრიდან ცეცხლის ალი ედებოდა;
შინ და გარეთ მტარვლის ხელით ტრფობის სხივი მკრთალდებოდა
და ემბლემა შრომის დროშა დაბლა, დაბლა იხრებოდა;
ბრძოლის ცეცხლი ანთებული ძლივს ბჟუტავდა და ჰქრებოდა;
შრომის შვილი, ქვრივ-ობოლი ტანჯვისაგან ცრემლდებოდა;
ყვავილებით მოქარგული ტყე და ველი როს ჰკნებოდა...
და მონობის შავი რაზმი ძალს იკრებდა, ზე დგებოდა,
და ცხოვრება სხივ მოსილი მოკვდებოდა, მოკვდებოდა,—
იმ დროს მუშათ ბნელ უბანში
ხმა გაისმა, ხმა მედგარი:
„ვისაც შეგწევთ—ჩადექ რაზმში,
ტანთ აისხით თოფი, ფარი!..
ვინც შეშინდეს—ფუჰ, იმ ვაჟკაცს!
შორს ჩვენ წრიდან ის ლაჩარი!..
ჩვენ დღეს გვინდა ერთგულები: მკლავი-რკინა, გულ-მაგარი...
ჰა, ვიხილეთ, როს დაიძრა მკვირცხლი, ლომ გული, მარდი,
მუშათ უბანს მოეფინა ჩვენი წითელი გვარდია...
სახე დინჯი,
ნელი ბიჯი;
მომღიმარი თვალი, სული...
ხალხთა შორის სიყვარული
მშრომელ გულში ჩანერგული...
წინ მიდიან... ბრძოლის ველზე
ბევრი რჩება, ბევრი მკვდარი...
ბებრძოლთ სისხლი კრთის დროშაზე...
დღეს ზეიმობს მთა და ბარი...
დღეს ზეიმობს მუშათ კერა...
ტანჯულთ სხივმა შესთამაშა...
შორს მტარვალი, გაიძვერა!..
ჩვენ გვარდიას ვაშა, ვაშა!

დ. მეჩიანგურე.

## სახალხო გვარდიის დღე

პირველ დეკემბერს, პარლამენტის საზეიმო სხდომამ და ჯარის აღლუმმა ბევრი დაარწმუნა, რომ საქართველო ღირსია სიცოცხლის, ღირსია დამოუკიდებლობის და იარსებებს კიდეც. ამ ისტორიულ „მზიან“ დღეს ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ: რეგულიარული ჯარი, სახალხო გვარდია, მილიცია, მუშათა ორატორები და ჩვენი დემოკრატიის გამობძმედილი ბელადები. საქართველო იცოცხლებს, საქართველო აღორძინდება, საქართველო მსოფლიო ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭერს—ლაპარაკობდა ფაქტი.

საბედნიეროდ ასეა დღეს, მაგრამ ყოველთვის ხომ ასე არ იყო; იყო დრო, როცა ჩვენც საშიშარი უფსკრულის წინაშე ვიდექით, განცდის დღეში ვიყავით, „ყოფნა არ ყოფნის“ ჟამს განვიცდიდით. ვინ იყო მაშინ ჩვენი მფარველი, ვისი მკერდი იფარავდა საქართველოს, ვის მარჯვენას ეყრდნობოდენ ჩვენი დემოკრატიის საამაყო დიპლომატები? პასუხი ერთია. სახალხო გვარდიას რომ სახელოვნად არ შეესრულებინა თავისი მოვალეობა, სახალხო გვარდიას რომ არ ებრძოლა თავგანწირვით, მაშინ ჩვენს საქართველოსაც ის „შავი ყველიერი“ გაუთენდებოდა, რაც გაუთენდა დიდ რუსეთს. სისხლში ჩაალრჩვეს რუსეთში თავისუფლება, იქ მოქალაქის სიცოცხლე მჟავე კიტრადაც არ ფასობს, დაგიღამდა, მაგრამ გაგითენდება თუ არა, არ იცი. რუს „მოქალაქეს“ ტანზე ვერ ჩაუცვამს, ხელ-პირი ვერ დაუბანია—ბურჟუაა და წამებით მოჰკლავენ. ვაჭრებს, ექიმებს, პროფესორებს, [illegible] ლებს, მღვდლებს [illegible] ხის ცემით ერეკებიან [illegible] გარას ხდიან... ჩვენში კი ბურჟუა რესტორანებში სადილს მუსიკასთან შეექცევა.

მთელი რუსეთი ინგრევა, ყოველგვარი წარმოება შეჩერებულია, განაწამებმა რუსის „მოქალაქემ“ არ იცის თავი სად შეაფაროს და ის რუსები, აქედან რომ საქართველოს წყევა-კრულვით რუსეთში მიდიან, ისევ ჩვენში ბარგდებიან, რადგან დღეს საქართველო ერთად-ერთი კუთხეა სადაც მოქალაქის სიცოცხლეს ფასი აქვს და თქვენც, საქართველოს რესპუბლიკის შვილებო, ნუ იქნებით უმადური, დააფასეთ თქვენი მხსნელი მთავრობა, დააფასეთ ამ მთავრობის განმტკიცებელი **სახალხო გვარდია** და ვისაც რითი შეგიძლიათ დაეხმარეთ გვარდიის არსებობას. ვაჭრებო, ერთი დღის ნავაჭრი გაიღეთ, ქალებო, მამაკაცთა სრულ-უფლებიანო წევრებო, წაიძვრეთ ხელიდან სამკაული (ბეჭედ-სამკარი) და შესწირეთ ჩვენს სასახელო გვარდიას. იცოდეთ, თუ ბევრი დედა ჩვენში არ სტირის ცხარე ცრემლით (ისე როგორც სტირიან მთელი რუსეთის დედები), ეს ამ გვარდიის თავდადების ნაყოფია. „ზღვა კოვზით დაილევა“ იტყვიან, მაშასადამე ზღვა წვეთებისაგან შესდგება—ნუ ირცხვით მცირეს—გაიღეთ თქვენი წვლილი და ამით თქვენ გაამხნევებთ და გაამაგრებთ ნორჩი რესპუბლიკის დამცველ გმირებს. 12 დეკემბერი, ხუთშაბათი—ეს თქვენი გამოცდების დღეა—ნუ იქნებით უმადური—„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

აპ. წულაძე.

## წითელი გვარდია და წითელი რაზმები

დღეს, 12 დეკემბერს, მადლიური რესპუბლიკა დღესასწაულობს თავის სახელოვან დარაჯის წლის თავს.

მთელს საქართველოში დღეს მწყობრად ფრიალებენ, თითქოს ერთი მეორეს უცინიან და ესალმებიანო, წითელი დროშები; მწყობრათ გაისმის ყველგან: „გაუმარჯოს სახალხო გვარდიას, გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას“-ო! და ყველას, მტერსაც და მოყვარესაც ეს ბუნებრივათ ეჩვენება. ბუნებრივია, რომ მადლიერი ხალხი შეხარის სახალხო გვარდიას: გვარდიამ იხსნა ხალხი ათასგვარ გასაჭირისაგან, განადგურებისაგან; ბუნებრივია, რომ გვარდიას და დემოკრატიას ერთად იხსენიებენ: საქართველოს სახალხო გვარდია და საქართველოს დემოკრატია განუყრელი მცნებაა.

ერთ ჩვენს მოწინააღმდეგეთაგანს, აქედან გაბუტულად წასულ ესერს ქალ. ეკატერინოდარში ჩვენი გვარდიისათვის საჯაროდ უწოდებია საქართველოს დემოკრატიის ყვავილი. დაუმატებთ: ჩვენი გვარდია ჩვენი რევოლიუციონური დემოკრატიის ნაღებია, მისი სიამაყე.

მომავალ თაობას გააკვირვებს საქართველოს წითელი გვარდიის, დღეს სახალხო გვარდიათ აღიარებულის ისტორია, მისი წარმოშობა და მისი საქმენი საგმირონი, რასაც გვარდია ასე აღფრთოვანებით აკეთებს ენისაგან გამოუთქმელ აუტანელ პირობებში და აკვირებს დღესაც მის შორიდან მაყურებელს. და ეს იმიტომ, რომ გვარდიის წარმოშობა კერძო პირების, ერთეულ გმირების აგიტაცია-ორგანიზატორობას კი არ მოუცია, ის შეჰქმნა რევოლიუციონურმა მასამ, მანვე წარმოშვა თვით გმირებიც და ორგანიზატორებიც. ჩვენი გვარდიის ორგანიზაცია და მისი თავგანწირული მწყობრი ბრძოლა შედეგია ჩვენი დემოკრატიის ყველა სხვა ორგანიზაციების, ჩვენი დემოკრატიის რევოლიუციონური წარსულის.

მაგონდება პირველი დღეები იმ ხანისა, როცა ჩვენ ჩვენი თავის ამარა დავრჩით, როცა რუსეთის ჯარმა მიგვატოვა, როცა ეს ჯარი დახმარების მაგიერ წასვლის დროს ჩვენი ქვეყნის გზადაგზა განადგურებას შეუდგა, როცა მათზე უარესს ჩვე-

ნი ჯარისკაცები გვიპირებდენ და როცა არსაიდან შველას არ ველოდით...

კავკასიის რევოლიუციონურმა ცენტრებმა მაშინ თავისი მთავრობა, კავკასიის კომისარიატი შექმნეს და კავკასიის ანარქიული ცეცხლისგან გადარჩენა მათ მიანდვეს. თფილისმა აიღო თავის თავზე ჩვენში რევოლიუციონური ცეცხლის შენახვა. და ეს სასაცილოთ არ ეყოთ ჩვენებურ ავანტიურისტებს, სასაცილოთ არ ეყოთ, რადგან ფიქრობდენ კომისარიატს არ აქვს რეალური ძალა, რომელიც ჩვენ გამანადგურებელ ძალას გაუმაგრდებაო. და მოინდომეს ერთი დაკვრით მოესპოთ რევოლიუციის ბუდე—თფილისი, დაეტყვევებიათ კომისარიატი და გაემეფებიათ პოგრომებისა, ძალადობისა, ცეცხლისა და ხოცვა-ჟლეტის ემბლემა—სტეპკო შაუმიანი, რომლის გარშემო ქართველთაგან შემოკრბენ ყოფილი ექსპროპრიატორები, ე. ი. მუქთა ქეიფის მოტრფიალენი. მოინდომეს, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მკითხველთ ალბათ ახსოვთ როგორ სასაცილოთ გათავდა პირველი ცდა, როგორ ჩქარა დაკეტეს „სასახლე საგანგებო კომისარისა", მაგრამ ისიც დაამახსოვრდებოდა, როგორ მოაგროვეს მესამასე ვერსზე 15—17 ათასი რუსის ჯარისკაცები, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, 50 ზარბაზნით, და როგორ ლამობდენ თფილისის განადგურებას. მაშინ არა მარტო შაუმიანის ბნელი კამპანია, ბევრ სხვასაც სწამდა ანარქიის ტრიუმფი და ორგანიზაციულათ მოწყობილ დემოკრატიის ბატონობის დასასრული. და იყო ზეიმი მტერთა ბანაკში, ხოლო ტირილი და გოდება სულმოკლე ამხანაგთა და მოყვარეთა შორის. არ ტიროდენ და არ შიშობდენ რევოლიუციის მებაირაღტრენი, დაყრონობილი საქართველოს დემოკრატიაზე, ამ რევოლიუციონურ ლაშქარზე...

საკმარისი იყო ერთი ცირკულიარული დეპეშა, რომ თფილისს მოაწყდა წითელ გვარდიის გუნდები საქართველოს ყველა კუთხიდან იმერნი და ამერნი შემოკრბენ თფილისს, ამ რევოლიუციის ბუდეს დასაცავად, რევოლიუციურ ორგანიზაციების მიერ არჩეულ მთავრობას გარშემო მტკიცე რევოლიუციური კედლის შემოსავლებად. ამას არ მოელოდენ შაუმიანმახარაძეებისაგან მოტყუებული ეშალონები, რომელნიც მზად იყვენ მათ სასამსახუროდ და თფილისის სიმდიდრის მისათვისებლად და შედრკენ ისინი, დაფიქრდენ: ვაი თუ ისიც დავკარგოთ, რაც სხვა ქალაქებიდან და ფრონტიდან წამოგვიღიაო არ მოელოდენ არც თვითონ შაუმიანები და დაიბნენ: თავის ბნელი საქმეების გაკეთება თვით გვარდიის მოტყუებით მოინდომეს და მათ მიმართეს, ინსინუაციებით სავსე ფურცელი გამოუშვეს და ემუდარებოდენ: „მეგრელებო, იმერლებო, გურულებო, ქართლელებო და კახელებო ჩამოცილდით, ნუ იცავთ მოღალატე მთავრობასო", მაგრამ ამაოთ. „ჩვენ ავირჩიეთ და ჩვენვე დავიცავთ თქვენ მუშაობას, რადგან ეს მუშაობა ჩვენ ინტერესებს ემსახურება"-ო, განუცხადეს კომისარიატს ჩამოსულმა შორაპნელებმა; „ჩვენ დავიხოცებით ჩვენგან არჩეულთა დასაცავათ"-ო, განაცხადეს გორელებმა; ვინ არის, რომ ჩვენ საქმეში ერევა, თუ ჩვენი მთავრობა არ ვარგა ან შემდეგში არ ივარგებს, განა როგორც ამირჩევია ისევ ვერ გადავაყენებ? გამვლელებს აქ რა ხელი აქვს"-ო, გაკვირვებული საჯაროთ კითხულობდა თოფ-იარაღში ჩამსხდარი კახეთი, ხურჯინებითა და ჩაბალახებით რომ ქადები ჩამოეტანა თან, თფილისელი ამხანაგები არ შევაწუხოვო და ნახევრათ მშიერი, სიცივეში, ნახევრათ დაფლეთილები უდგნენ მკერდით თფილისს, სანამ ეშელონები ჭკუას არ მოვიდნენ და გზას არ გაუდგნენ შინისაკენ.

ვიმეორებ, ბევრს უკვირდა მაშინ: ასე ხელათ ასეთი მწყობრი რაზმები (ჭიათურა-ყვირილა-შორაპნის გვარდია მუსიკით რომ შევიდა ქალაქში ხალხი გაშტერებული უცქერდა), ასე მრავალრიცხოვანი ლაშქარი სად იყო, როდის შექმნესო. უკვირდა გარეშეებსაც და ზოგ ამხანაგებსაც და ეს იმიტომ, რომ დაავიწყდათ „წითელი რაზმები", დაავიწყდათ, რომ საქართველოს დემოკრატიას გამოცდილება ჰქონდა რევოლიუციონური ლაშქრის მოწყობა-გამოყვანაში, გამოცდილება ჰქონდა შეიარაღებულ ბრძოლის წარმოებაში. 1917 წლის წითელი გვარდია მემკვიდრე იყო 1905 წლის წითელი რაზმებისა,—არც მეტი და არც ნაკლები.

1905 წელშიაც, ისე როგორც 1917 წლის რევოლიუციის პროცესში, ჩვენი დემოკრატია დარწმუნდა, რომ შეიარაღებული შეტაკება აუცილებელი იყო და დაუწყო შექმნა პატარ-პატარა შეიარაღებულ რაზმებს, რომელთაც, წინაალმდეგ შავი რაზმისა, წითელი რაზმები ეწოდა. პირველი ასეთი რაზმი გორის მაზრის გლეხობაში შედგა, ე. ი. იქ, საცა პირველი შავი რაზმი შედგა: ზუბიკო აბდუშელიშვილმა და გ. ამილახვარმა მთავრობის ხელის შეწყობით შეადგინეს იქ, ადგილობრივი თ-დ-აზნაურობისაგან შავი რაზმი, რომლის საწინააღმდეგოთ ფრონის ხეობის გლეხებმა ცაბაძემ, თურმანიძემ და სხვებმა შეადგინეს წითელი რაზმი, რომელსაც შემდეგში სათავეში ჩაუდგა ცხინვალის ბალშევიკების მსხვერპლი გიორგი მაჩაბელი. ამ წითელ რაზმს არა ერთი და ორი შეტაკებები ჰქონდა როგორც თვითმპყრობელ მთავრობის ყაზახებთან, უფრო ზუბიკოს შავ რაზმთან, რის შედეგი იყო ზუბიკოს შავი რაზმის დაშლა და იარაღის აყრა, ე. ი. ბრწყინვალე გამარჯვება. იმ ხანებში რეაქციამ ყველგან იჩინა თავი და ამის საწინააღმდეგოთ მთელი საქართველო მოიფინა წითელი რაზმებით. ამ წითელ რაზმების არსებობის ისტორიაში ბევრი სასიქადულო ადგილებია: ნაძალადევი, ფრონის ხეობა (გორის მაზრაშია), ნასაკირალი (გურიაშია), წიფა და სხვა ბევრი ისტორიული შემთხვევები ჯერ ისევ უცდიან ისტორიკოსს. წითელ რაზმების ისტორიაში მოიპოვება სამხედრო ხელოვნების თანახმათ მწყობრი ოპერაციებიც, როგორც მაგალითად ხარაგოული და ზესტაფონია, სადაც მაშინ შეერთებულმა რაზმებმა (ჭიათურა-ყვირილა-სამტრედია) იარაღი აყარეს მთავრობის ჯარს, თავის ძალები გაზარდეს და აპირებდნენ ქუთაისის გარნიზონის იარაღის აყრას, რომ მოსკოვის დამარცხების ზეგავლენით თფილისს არ გადაეწყვიტა ბრძოლის შეჩერება.

და აი, როცა 1917 წლის რევოლიუციამ წინ დაგვიყენა წითელი გვარდიის შექმნის აუცილებლობა, უცბათ საბჭოებთან გაჩნდენ ყოფილი წითელი რაზმები და შემოიკრიბეს გარშემო ყველა ყოჩაღები. თვით თფილისის გვარდიის პირველ ლაშქრობის (29 ნოემბერი, 1617 წ.) მეთაურები უმთავრესათ ყოფილი წითელ რაზმელები იყვნენ, როგორც მაგალითად ვ. გოგუაძე. ამათ მიემატა ბევრი ომიდან, ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ამხანაგი და მზათ იყო კონტიგენტი, რომელიც არ საჭიროებდა დიდ დროს გუნდების მოსაწყობათ, მისთვის მხოლოთ იარაღი იყო საჭირო და ეს კი ისე გასაჭირი არ იყო, როგორც 1905 წელში.

ამიტომაც, წითელი, ანუ სახალხო გვარდიის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის წითელ რაზმებს. მხოლოდ წითელი რაზმის ისტორიის აღდგენით გაადვილდება და უფრო გასაგები გახდება წითელი გვარდიის ისტორია.

აქვე, წითელი რაზმების გახსენებასთან, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ ის სამწუხარო მოვლენა რასაც ჰქვია რეაქციის ზეგავლენით ზოგი წითელ რაზმელების გაყაჩაღება ანუ, როგორც ამ მოვლენას ბალშევიკები ეძახდენ, გაექსპროპრიატორება, რამაც ბევრი განგაში გამოიწვია და რაც მაშინ ჩვენმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგებმა პოლიტიკურ ბრძოლის იარაღათ გამოიყენეს. ჩვენდა სასიხარულოთ, ისევ მოწინააღმდეგეებში აღმოჩნდა კაცი, რომელმაც არ უღალატა სიმართლეს და პოეტური ფერადებით დახატა სინამდვილე ერთ ისტორიულ პიესაში. მე მხედველობაში მაქვს ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი". უმახინჯო ოჯახი არ არსებობსო, ამბობენ რუსები, ხოლო წითელ რაზმების საქმენი საერთოთ ისეთი იყო, რომ მე დღესაც, როგორც წითელ გვარდიელი, ვამაყობ, რომ ამავე დროს ყოფილი წითელ რაზმელიცა ვარ.

ზ. დათიაშვილი.



პავლე ნიკოლოზის ძე ვიგორბინი

მდ. ინგურზე გადასვლის დროს 17 სექტემბერს დაიღუპა.

# ანარქია თფილისში და სახალხო გვარდია

ამ ჟამად თფილისის მოქალაქე დამშვიდებით განაგრძობს თავის ყოველ-დღიურ ცხოვრებას, იგი მრავალ გაჭირვებას განიცდის, მაგრამ, სამაგიეროთ, იგი დარწმუნებულია, რომ მისი სიცოცხლე უზრუნველყოფილია ანარქიის შავ ბნელი ტალღებისაგან.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა თფილისი ამ ერთი წლის წინად—მაშინ ბალშევიკობა „მოდაში" იყო და ყოველი ნაძირალა და ძველი რეჟიმის მომხრე ბალშევიზმის გარშემო იკრიბებოდა.

როდესაც კავკასიის ფრონტიდან გაბალშევიკებული ჯარი დაიძრა, პირველად თფილისის ახლოს გაიარა ყარსის პოლკმა, წინდაწინ შევიტყეთ, რომ ეს პოლკი აპირებს თფილისში „შევლას" და იქ „წესიერების" აღდგენასო. არ ეძინათ თფილისის ბალშევიკებს ფ. მახარაძის და კუზნეცოვ ბირიუკოვების მეთაურობით... ჩვენ ძალიან კარგათ გვესმოდა, თუ რას ნიშნავდა თფილისში „შევლა". არ ეძინა —ეხლანდელ სახალხო გვარდიის შტაბის წინამორბედს მაშინ—თავდაცვის კომისიასაც თუმცა მცირე, მაგრამ რაც კი ჰქავდა მთელი შეიარაღებული ძალები ფეხზე დააყენა. ნავთლუღის რაიონის დაცვა უკისრია განმანაწილებელ პუნქტის და კახეთის და მთავარ რკინის გზების წითელ გვარდიელ მუშებს. ავლაბრის შემოსავალში რამდენიმე ალაგას „პოზიციები" დავიჭირეთ და შეიარაღებული მუშები გაუხდელათ და მოუსვენრათ დიდხანს სდარაჯობდენ, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები თფილისში არ შემოეშვათ. მიზანსაც მიაღწიეს...

ამ დროს თფილისში ანარქია-ექსცესები ხან აქ იჩენდა თავს, ხან იქ. მიმავალი ჯარის კაცები იტაცებდნენ და სძარცვავდნენ სახელმწიფო ქონებას. იშლებოდა პოლკები და ჯარების ნაწილები—სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწყობებს და ქონებას მასიურათ სტოვებდნენ დარაჯი სალდათები ღვთის ანაბარათ, მიჰქონდათ რის წაღებაც შეეძლოთ. ამტვრევდნენ საწყობებს და ამით ყოველი მძარცველი სარგებლობდა. თავდაცვის კომისიის ტელეფონი განუწყვეტლივ მუშაობდა. ყოველის მხრიდან გვთხოვდენ შველას—გამოგზავნეთ გვარდიელები და დაიხსენით ქონება განადგურებისაგანო.

არც თფილისის ქუჩები იყო მოსვენებული. სროლა და თავდასხმა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. შეღამდებოდა თუ არა, ქუჩაში შიშით ვეღარ დადიოდა ხალხი.

ხშირი იყო ისეთი მოვლენა, რომ ქუჩაში ატიტვლებდნენ ადამიანს და ისე უშვებდნენ.

ასეთი იყო მდგომარეობა თფილისში შარშან ამ დროს და უფრო ადრე.

თფილისის ყველა უბნების მუშები და რევოლიუციის ერთგულნი იარაღში ჩამჯდარნი ფეხზე იყო დაყენებული, ქუჩებში დადიოდნენ გვარდიელთა პატრულები. თავდაცვის კომისია შეძლების დაგვარათ ყველგან უგზავნიდა ქონების გადასარჩენათ სადარაჯოთ გვარდიელებს.

იმ დროს სუსტი და მოუწყობელი მილიცია უძლური იყო დაეცვა ქალაქი. პირიქით გვარდიას უხდებოდა თვით ამ მილიციის დაცვა და მათი პირდაპირი მოვალეობის შესრულება.

გვარდიამ მოსპო და აღმოფხვრა ცნობილი მძარცველთა და მკვლელთა ეგრეთ წოდებული „ბედნი კტოის" ჯგუფი, გვარდიამ აღმოაჩინა და დაიჭირა სარიყამიშის ხაზინის მძარცველნი და სხვა მრავალი.

გვარდიამ მრავალჯერ თფილისს თავიდან აალილა სომეხ თათართა ხოცვა-ჟლეტა, იყო შემთხვევები, როდესაც გვარდიელნი ტყვიის წვიმის ქვეშ ავტომობილით დაქროდნენ თათარ-სომხების უბნებში და შეგნებულ თათარ და სომეხ ამხანაგების დახმარებით ძლივს თავიდან აცილებს თფილისს საშინელი ძმათა ჟლეტა.

გვარდიას მრავალჯერ უხდებოდა „სამოსუდების" ლიკვიდაცია.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სახელმწიფო და კერძო ქონებათა და მოქალაქეთა სიცოცხლის მხსნელათ მხოლოდ გვარდია წარმოადგენდა უმთავრეს ძალას.

იმ ხანათ თფილისში ეწყობოდა ნაციონალური პოლკები, ასეთი პოლკები იყო: რუსული, ქართული, სომხური, უკრაინული, აისორული, თათრული, ბერძნული, პოლონური, ოსური და ვინ მოსთვლის კიდევ რა ნაირი. ყველა ეს პოლკები უწყალოთ და უანგარიშოთ ეზიდებოდნენ საინტენდანტოს საწყობებიდან ატარებულ ქონებას—ამ ქონებას აწყობდნენ საკუთარ კაზარმებში და მერე იქიდან იწყობოდა ამ ქონების უწყალოთ ძარცვა. გვარდიას მოუხდა მრავალ ასეთი ქონების დაცვა და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ მრავალი ასეთი ქონება სრულიათაც ჩამოართვა ბევრ ჯარის ნაწილებს და გადაარჩინა გაძარცვას.

ასე იღვწოდა და იცავდა გვარდია სახელმწიფო ქონებას და რევოლიუციის მონაპოვარს. გვარდიამ დღემდე პირნათლათ შეასრულა თავის მისსია და ამიერიდანაც ამ გზით განაგრძობს სიარულს.

ხ. მაისურაძე.



გრიგორი აკოპის ძე კეჩეძე

დაეცა გმირულად მოქვ ს მონასტერთან, ასკერებთან ბრძოლის დროს.



გიორგი ალექსანდრეს ძე ლაკაპოვი

სადგურის რაიონის სახ.-გვარდიელი.—მსახ. № 3 ჯავშნოსან მატარებელზე—გარდაიცვალა 4 სექტემბერს.

# ახალი ამბები

„გვარდიის" დღის დღესასწაულის გამო, ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 14 დეკემბერს.

◆ **სანაინიდან** ჯავშნიან მატარებლის უფროსი ხუნკა, ჯავშნოსან მატარებლების შტაბს დეპეშით შემდეგს ატყობინებს: „დღეს, 9 დეკემბერს დილის 8 საათზე რაზმი გამგზავრა სოფელ უზუმლიარში და თან წაიყვანეს მსროლელნი 3 ტყვიისმფრქვეველით. როდესაც ჩვენები დაუახლოვდენ კლდის ძირას, მთაზე ჩასაფრებულმა სომხებმა მათ აუტეხეს სროლა. ჩვენებმა ჯავშნოსან მატარებლიდან ზარბაზნებითა და ტყვიისმფრქვეველებიდან სროლითვე უპასუხეს, რაც საღამოს 8 საათამდე განუწყვეტლივ გაგრძელდა. ჩვენებმა მთაზე ასვლა ვერ მოახერხეს და უკან დაიხიეს, დასტოვეს ერთი ტყვიისმფრქვეველი, რადგანაც ერთი მსროლელი მეფარიშვილი მძიმედ დაიჭრა და მეორე—ხუნდაძე, მსუბუქად დაშავდა ფეხში. დაზარალდა ქვეითა ჯარიც. მოპირდაპირე მთიდან აგორებდა დიდ ქვებს, რომლითაც სადგურში დაამტვრიეს ოსმალების ყუმბარებით დატვირთული სამი ვაგონი. რაც ჩემგან იყო მოთხოვნილი დღეს 2 საათზე საჩქაროთ გამოგზავნეთ, რადგანაც საფრთხილოა გზა არ აგვიყარონ. მეორე ჯავშნოსანმა უნდა იაროს სად. იარუმიდან სად. სანაინამდე".

გზათა სამინისტრომ სანაინიდან შემდეგი ცნობა მიიღო: 9 დეკემბერს მომხდარ შეტაკების დროს ჩვენი ეხრით მოკლულია 5,—მძიმედ დაჭრილია 1, მსუბუქათ 6. მათ შორის პორუჩიკი შუბლაძე. უგზო-უკვლოდ დაიკარგა. 2

◆ **გზათა სამინისტრომ** კატეგორიული განკარგულება დაუგზავნა საქართველოს რკინის გზების უფროსებსა და კახეთის რკინის გზის მმართველს, რომ სადგურებზე და ვაგონებში ყოველგვარი ფულის გადახდევინების დროს აუცილებლათ სავალდებულოა კვიტანციის მიცემა. სამინისტრო სთხოვს საზოგადოებას, ამ განკარგულების დარღვევისათვის აცნობონ გზათა სამინისტროს კანცელარიას.

◆ **ინგლისელი ჯარისკაცები.** 10 დეკემბერს თფილისის სადგურზე, ბაქოდან—ბათუმისაკენ მიმავალმა ინგლისელთა ჯარისკაცებმა გაიარეს. დაახლოვებით 100 კაცი იყო.

◆ **თფილისის გენერალ გუბერნატორის** განკარგულებით, ვინაიდან უკანასკნელ დროს ქალაქში ცხოვრება წესიერად მიმდინარეობს, შეცვლილია სავალდებულო დადგენილების ის მუხლი, რომელიც ეხებოდა ღამით ქუჩებში მოძრაობას. ახალ განკარგულებით ღამით ქუჩებში მოძრაობა შეიძლება ნაშუაღამევის 1 საათამდე. შემდეგ დილის 5 საათამდე უნებართვოდ ქუჩებში სიარული აკრძალულია.

◆ **საგანგებო კომისია.** თფილისის სამოსამართლო პროკურორის განკარგულებით დაინიშნა საგანგებო კომისია სისხლის სამართლის მილიციის მოქმედების სარევიზიოდ, კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

კ რ ე ბ ე ბ ი.

13 დეკემბერს სალ. 5 საათზე ნაძალადევის თეატრის შენობაში დანიშნულია პირველ რაიონის საქ. ს.-დ. მუშ პარტიის წევრთა საერთო კრება.

— 13 დეკემბერს საღამოს 6 საათზე შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მორიგი კრება. განსახილველია შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტი და სხვ.

## ოსმალთა ჯარების „ევაკუაცია"

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ოსმალთა ჯარები დროებითი ზავის პირობების წინააღმდეგ—აგვიანებენ მათ მიერ დაკავებულ ამიერ კავკასიის ოლქების დაცლის საქმეს, რომ ისინი მიმართავენ ამაღელვებელ ზომებს ძალადობისას, განაგრძობენ ძარცვას და გააქვთ ნაძარცვი ქონება და ამით ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ შიმშილით სიკვდილს უქადიან, ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა მიაქცევს რა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყურადღებას ამ მდგომარეობას, აუცილებელ საჭიროებათ სთვლის ამ საკითხის შესახებ დაუყონებლივ დიპლომატიური მიმართვას შეთანხმების სახელმწიფოებთან და საჭირო ზომების მიღებას ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ინტერესთა დასაცავათ".

# მისალმება ჩვენს მთავრობას

**თფილისი.** 10 დეკემბერი. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშები:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა მოვალეთ სთვლის თავის თავს თქვენის სახით უძღვნას გულწრფელი სალამი რესპუბლიკის მთავრობას, როგორც დემოკრატიის საუკეთესო იდეალების გამომხატველს. ყრილობამ დაადგინა: გამოგიცხადოთ თქვენ სრული ნდობა და აღგითქვათ თავის მცირე ძალებით ყოველგვარი შეწყობა.

ყრილობის თავმჯდომარე ჩიჩუა.

10 დეკ. ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა:

„ძველი საქართველოს ცენტრიდან თქვენ და მთელ საქართველოს მოგილოცავთ მესხეთის და ჯავახეთის სისხლის დაუღვრელად შემოერთებას, რაც მოხდა საქართველოს მთავრობის სიბრძნითა და კაცთმოყვარეობით. მთელ გზაზე ახალციხემდე მცხოვრებნი აღფრთოვანებით ესალმებოდა ჯარს. გისურვებთ სიცოცხლეს და გამარჯვებას, მრავალ ჟამიერ.

გენ მაყაშვილი.

# რკინის გზაზე

**კახეთის რკინის გზა.**

არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთებში, რომ კახეთის რკინის გზის ადმინისტრატიულ საქმეებში ხშირად ერევიან ზოგიერთი სოფლის კომისრები და მილიციონერები და ამით ხელს უწყობენ გზაზე ანარქიის გაძლიერებასო. ზოგიერთი მილიციონერები აშკარა თავდასხმებსაც ახდენდნენ რკინის გზის მოსამსახურეებზე და დამცველ რაზმზე. მაგალითად, ყველას ახსოვს, რომ სოფლის კომისრები სადგურის უფროსებს უკრძალავდნენ ფქვილის მიღებას გასაგზავნათ, რაც ნება დართული იყო მთავრობის მიერ. ამ ნიადაგზე მიმდინარე წლის 24 ივლისს სადგურ მუკუზანში კინაღამ სისხლის ღვრა მოხდა. სიღნაღის მაზრის მფრინავი რაზმის უფროსი ალ. ყალაბეგიშვილი თავის მილიციონერებით თავს დაესხა სამგზავრო მატარებლის მცველ რაზმს რომელსაც მე ვმეთაურობდი და მოგვთხოვა იარაღის დაყრა. უშვერი სიტყვებით ლანძღავს ჩვენი მთავრობა და მისი კანონები და ცირკულიარები. ამ შემთხვევას შესახებ დაწვრილებით იყო მოთხრობილი „ერთობის" 28 ივლისის და „სახ. საქმის" 27 ივლისის ნომრებში. აგრეთვე, აღძრული იყო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ დაენიშნათ გამოძიება და დამნაშავე სასტიკად დასჯილიყო, მაგრამ,

სამწუხაროთ, ამ საქმის ჯერაც არაფერი ისმის.

ხსენებული მილიციონერები კი, რომელნიც დარწმუნდნენ, რომ მათ არავინ დასჯიდა, უფრო თამამათ განაგრძეს თავის საქმე. ხოლო, როგორც ახლა ირკვევა, ბევრი მათგანს უკვე წაუღებია კასრის ყაჩაღობაში თელავის მაზრაში, მაგ., მილიციონერი ნიბლაძე, რომელიც მუკუზანში მოკვლას მიპარებდა და უფერი სიტყვებით იძაგებოდა, ყაჩაღობაში დაუჭერიათ. მის სახლში აღმოუჩენიათ კ. ნაკაშიძის სხვადასხვა ნივთები. ასევე უსახელებიათ თავი ბევრ მის ამხანაგებს, მაგ. გორობელაშვილს და სხვებს და ამიტომ ხსენებული მფარავი რაზმი უკვე დაუშლიათ. მაგრამ ბევრი მათგანი ისევ თავისუფლად დაიარებიან.

მე განმეორებით მოვითხოვ, რომ პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი მფარავი რაზმის უფროსი ალ. ყალაბეგიშვილი და მისი მილიციონერები, რომელნიც თავს დაგვესხნენ ხალ. მუკუზანში და მოკვლას და ძარცვას გვიპირებდნენ. უნდა დაინიშნოს გამოძიება და ყოველივე მათ მოქმედებას ფარდა უნდა აეხადოს.

იმედია ამას ყურადღებას მიაქცევს კახ. რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალური გამგეობა.

კახეთის რკინის გზის მცველი რაზმის უფროსი უ. მგალობლიშვილი.

## ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 7 დეკემბერს შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა არა-ჩვეულებრივი სხდომა. დაესწრო 14 წევრი. განიხილეს შემდეგი კითხვები: 1) კოლექტივის ბიუროს მოწყობა, 2) სახსრის გამონახვა ბიუროს მოსაწყობათ, 3) ანგარიში კოლექტივის ექვსი თვის მუშაობისა, 4) საზოგადო კრების დღის წეს-რიგი და 5) საწევრო გადასახადების შეკრება. პირველი საკითხის შესახებ კრება იწონებს ამხ. დ. ბერუტაშვილის მოქმედებას ბინის მოსაწყობათ და მასვე ავალებს, რომ მიიღოს ყოველივე ზომები რათა სწრაფათ გაყვანილ იქნას ელექტრონის განათება ბინის გასანათებლათ, ხოლო ამხ. ნიკოლაიშვილს ევალება შეიძინოს მოწინავეების კომიტეტიდან საჭირო სკამები და საკანცელარიო ნივთები; რადგანაც წევრთა გულგრილობის გამო კოლექტივს ვალების მეტი არაფერი მოეპოვება, დაადგინეს სხვადასხვა ხარჯებისათვის ხარჯების დასაფარავათ, გამოითხოვონ თფილისის კომიტეტს მცირე ხნის ვადით სესხი 500 მანეთი. მესამე საკითხზე მოხსენებას აკეთებს გ. მაჭავარიანი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიაში სამწუხაროთ ძლიერი გულგრილობა ყოფილა გამეფებული, თითქმის პარტიის წევრთა უმრავლესობას საწევრო გადასახადიც არ ჰქონია შემოტანილი... აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ადგენს, მიმართონ პარტიის წევრებს რათა დაუყონებლივ შემოიტანონ ხვედრი ფული და მით მოიხადონ თავიანთი მოვალეობა პარტიის წინაშე და ხელი შეუწყონ ორგანიზაციულ მუშაობას.

8 დეკემბრის საზოგადო კრებაზე კოლექტივი საჭიროთ სცნობს გაკეთებულ იქნას მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, რისთვისაც მომხსენებლის გამონახვას ავალებს ამხ. რ. ჩიხლაძეს.

კვირის, 8 დეკემბრისთვის დანიშნული საზოგადო კრება არ შესდგა წევრთა სიმცირის გამო და გადაიდო მომავალ კვირისთვის. კვირის, 15 დეკემბრის კრება კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავად წევრთა რიცხვისა, ამისათვის მოვუწოდებთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ ამ კრებას და ყველამ მიიღონ მონაწილეობა ორგანიზაციისთვის დიდი მნიშვნელობის კითხვების გადაჭრაში.

მდივანი.

## საადგილ-მამულო რეფორმა

თელავის მაზრაში.

პირველმა მიწათ მზომელმა კომისიამ წინანდლის რაიონში 9 დეკემბერს დაამთავრა მუშაობა.

მიწების მიღება დაიწყეს სოფელ ყვარლის უბანში, სადაც ფონდისთვის დატოვებულ სულხან გიორგის ძე ჭავჭავაძის მამული, სამ სართულიანი სახლი, რომელიც საუცხოვოთ არის მოწყობილი და ერისთვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს. უნიობას აქვს ფართობი 3 დეს. 2080 კ. ს. საუცხოვო ბაღები, სამეურნეო სასწავლებლისთვის, სამკურნალოსთვის და სხვ. ეს ზემოხსენებული მამული ღირებულება არა ნაკლებ 45,000 მანეთის. ყვარლის უბნის რაიონში მივიღეთ ყველა ხარისხის მიწები სახნავი, სათიბი, ვენახი და ტყეები 1,272 დესეტ. 474 კ. საჟ. შაშიანის რაიონში მივიღეთ ყველა ხარისხის მიწები 17 დეს. 1130 კ. საჟ. ვაჩნაძიანში—3413 დესეტ. 865 კ. საჟ. გინთასში 807 დესეტ. 2140 კ. საჟ. ქვემო ხოდაშენში—1066 დესეტ. 957 კ. საჟ., წინანდალში—675 დესეტ. 2299 კ. საჟ., კისის ხევში—4314 დესეტ. 346 კ. საჟ., კონდოლში—1911 დესეტ. 1361 კ. საჟ., ტოდნაანში—24 დესეტ. 980 კ. საჟ., მთლათ წინანდლის რაიონში მივიღეთ ყველა ხარისხის მიწები 13353 დესეტ. 119 კ. საჟ., ფონდში გადასულ სახნავი მიწებიდან ჯერ-ჯერობით დესეტინაზედ აგროვებენ კოდ პური და სხვ. მოსავალიდან პური, სიმინდი და, ქერი 621 კოდი ღალა. ყვარლის უბანში საბალახე ღალა მივიღეთ ფულათ 1490 მ. წინანდლის რაიონში ავიღეთ ღვინის ღალა 60 საპალნე (488). ღვინო გადავეცით წინანდლის ყოფილ საუფლისწულო მამულის გამგეობას.

გ. თევდორაშვილი.

## მუშათა შორის

გორი. ხელზე მოსამსახურეთა მდგომარეობა აუტანელია აქ. ისინი მოკლებული არიან თითქმის ყოველგვარ უფლებას. მათთვის არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება. „ხაზეინებს" ჰგონიათ, რადგან ერთი ლუკმა პურის გულისთვის ისინი მათ ემსახურებიან, ამიტომ ხელზე მოსამსახურენი ადამიანები არ არიან და როგორც უნდათ, ისე იმსახურებენ. მაგრამ ვისი ბრალია ყველა ეს? რა თქმა უნდა, თვით ხელზე მოსამსახურეების, რომლებიც არ იღებენ ზომას თავიანთი უფლების დასაცავათ. თქვენ ვერ ნახავთ, რომელიმე მათგანს გაზეთი ეჭიროს ხელში და კითხულობდეს და ამისთვის არცა აქვთ თავისუფალი დრო. დროა მოსამსახურეებმა თვალები გაახილონ, გამოიწვრთნონ თავიანთი ინტერესების დამცველი გაზეთები იკითხონ და გაიგონ თუ რა ხდება მათ გარშემო.

განჯელი ქალი.

## პროვინცია

ქვიში (ქართლი). ეს სოფელი კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილია, ეს არის მიზეზი, რომ ფართო ასპარეზი ეძლევათ ქურდ-მიცაცეებს, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ ისედაც გაჭირვებულ მცხოვრებთ. აქ არსებობს კოოპერატივი, რომლის საქმეც არ მიდის კარგათ, ანგარიშები არევ-დარეულია და გამგეობა ძლიერ გულგრილათ ეპყრობა საქმეს. საჭიროა შეგნებულ პირებმა ამას ყურადღება მიაქციონ და კოოპერატივის საქმე სასურველ ნიადაგზე დააყენონ. ძლიერ გავრცელებულია ამ სოფელში ეგრეთ წოდებული „ისპანკა", რომელმაც ბევრი იმსხვერპლა კიდეც.

ისაკ მიქელაძე.

## განცხადებანი


### სკოლა

ქართულ საწერ მანქანებზე წერის შესასწავლად.

### „ალაროდია"

და ბეჭდ ქართულ წერის მანქანებზე.
ბებუთოვის ქუჩა, სახლი № 24. (3—2)

ექიმი [illegible]
მიიღებს შინაგანის, გულის, ფილტვის და [illegible] ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. [illegible] ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი
### ა. გ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩა. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ტელ. № 49.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ქრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ტუბერკული, ქრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სავიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
### დ. ზ. ნიქარაძე
იღებს ავათმყოფებს დღის 2—4 საათ. ნაძალადევში ლოტკინის ქ. № 9. (12—4)

ექიმი
### პ. ტ. ლორთქიფანიძე
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაზარევის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

ექიმი
### ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინარიის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

კბილის სამკურნალო კაბინეტი
თედორა საუმარიძის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—85.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
ლეჩულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

გახსნილია
### კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაციები, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
### გ. მერაბოვისა
(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა.
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა, კუჭისა და [illegible]. მილარის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. [illegible] რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
ღარიბებს უფასოდ.

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბავშვო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. სავადმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
### მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დაავადებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
### ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
### კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილი 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი მ. ა. შაფრანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 6—8 საათამდე, ქალებს საღამოს 4—6 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ილიას ქ. № 33.

ექ. [illegible]
[illegible] დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი ქალი
მ. ს. ქარუმიძე—გიგურიშვილი.
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბჭოებს დარიგებას. მისამართი: ბრილიანტის და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი ნ. დ. თურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ლეჩულობს ავადმყოფებს ყოველ დღე [illegible] 4—5 საათ. შინაგან სნეულებით, [illegible]. [illegible] გვერდით.

# ქართული დრამატიული საზოგადოების სასცენო სტუდია

ალფავიტით:

ქ-ნნი: ანჯაფარიძე ვ., გამრეკელი ბ., გურგენიძე ვ., ერისთავი ა., ნადირაძე თ., ნინონი, ქიქოძე ა., ქიქოძე ალ., წერეთელი ნ., წერეთელი ნან., ლოლობერიძე თ., ცხვედიანი ვ.

ვაჟნი: აბაშიძე ვალ., ალექსიშვილი ა., ბერეჟიანი ს., ბერიშვილი შ., გელოვანი მ., გურული ვ., ზარდალიშვილი ი., კობახიძე ვას., კოლხიდელი ა., მუავია დ., ხარჩიმელიძე ვ., ხუმბათაშვილი კ., ხერხეულიძე მ., ცინაძე ნ., შათირიშვილი კ., ჯაბადარი ვ., ჯიქია ვ.

სტუდიის ეს ახალი შემადგენლობა ამ დღეებში განაგრძობს საჯარო წარმოდგენების მართვას არტისტიულ საზოგადოების თეატრში. პირველად წარმოდგენილი იქნება: „ბურუსი", „ვითა ფოთლები", „ლალატი", „იმედის დაღუპვა" და სხვა,

ადმინისტრატორი მიხ. ხერხეულიძე.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი
სახალხო სახლ. არსებულ ქართული წარმოდგენების მმართველი წრე.
ხუთშაბათს, 12 დეკემბერს 1918 წ. გამართული იქნება:

## სახალხო გვარდიის დღე

წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე ი. გედევანიშვილის

I

### მსხვერპლი

მხოლოდ პირველი მოქმედება.

II

რუსულ ენაზე 1 მოქმედებიანი ვოდევილი ა. ჩეხოვისა

### დათვი

III

სომხურ ენაზე

### სისხლის სახარება

სალიტერატურო განყოფილება

საღამოს დაწყების წინ ალ. ლომთათიძე წარმოსთქვამს სიტყვებს. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. (1—1)

## მეოთხე რაიონული კოლექტივი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა, მოაგონებს ამხანაგებს, რომ ვისაც გასული თვეების საწევრო გადასახადი არ შემოუტანიათ ანდა დამატებითი გადასახადი არ გადაუხდიათ, საჭიროა დაუყოვნებლივ შემოიტანონ და მით ხელი შეუწყონ პარტიულ მუშაობას. შემოტანა შეიძლება ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქუჩა № 29) დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

## სახალხო გვარდიის შტაბი

მე-4 რაიონში ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, მე 4 რაიონის კოლექტივის ბინაზე (ოლღას ქ. სახლი არამიანცისა, № 29) ჰმართავს საღამოს სახალხო გვარდიის დღისას, ორი განყოფილებით: 1. მოხსენება ე. პ. გეგეჭკორისა, სახალხო გვარდიის დღეზე. 2. კონცერტიული განყოფილება, შემდეგ პირთა მონაწილეობით: კავსაძე (გუნდი), ნ. ზ. ფიდლენოვ-მალალაშვილისა, ნ. გ. კოლიშა, დ. დ. ლეჟავა, გ. ზ. მალალაშვილი და სხ. როიალთან მ. გ. ვასილიევა-ანდრონიკოვა. დასაწყისი სრულ საღ. შვიდ საათზე.

სახალხო გვარდიის შტაბი მეოთხე რაიონისა.

1919 წლის იანვრიდან გამოვა დიდი (300—400 გვ.) ყოველ თვიური სალიტერატურო სამხატვრო, სამეცნიერო, საკოოპერაციო და საპოლიტიკო ჟურნალი

## „შვიდი მნათობი"

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილნი ლიტერატორები, მხატვრები, კოოპერატორები, პოლიტიკოსები და მეცნიერნი.
გამომცემლობა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა (3—2)

## გაუმარჯოს გვარდიელების დღეს

მუშტაიდი დემოკრატიული კლუბი მუშტაიდი

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს 1918 წ.
დემ. კლ. არს. ქარ. სახ. წარ. მმარ. წრის მიერ სახალხო გვარდიელების დღის აღსანიშნავად გაიმართება საინტერესო

## საღამო-მეჯლისი

შინაარსი:

I წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი თანამედროვე პიესა „შვილებისათვის" დრამა ეტიუდი 1 მოქმ. ზანგისა.

II

### არც აქეთ — არც იქით

III რომანსები, კუპლეტები, ლექსები, სცენები, ტრიუები. აგრეთვე იმღერებენ საომდროვო კუპლეტებს „ვაი ვუის" ხმაზე. დაწვრილებით პროგრამებში.

წარმოდგენის შემდეგ **ვახშამი** კლუბის ბაღში იქნება მრავალი გასართობები. ფოსტა, ყვავილები და ამერიკული აუქციონი და სხვა გასართობები. გაიმართება აზიური და ევროპიული ცეკვა-თამაში პრიზით.
დაუკრავს სამხედრო მუსიკა.
ამ საღამოს მთავრობის მიერ ნება დართულია დილამდის სიარული. ტრამვაი ივლის ღამის 1 საათამდე ბილეთების ფასი: ქალები 3 მ.—ვაჟები 5 მან. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში ყოველ დღე.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

რეჟისორი პ. ფრანგიშვილი.

ადმინისტრატორი ნ. მაჭავარიანი.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაშვილის შესახვევი. № 1.